მხურვალე სალამი ჩვენი რესპუბლიკის გაგანოველთა შეკრების მონაწილეებს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 39-ე წელი № 224 (11530) | პარასკევი, 25 სექტემბერი, 1959 წ. | ფასი 20 კაპ.

ეს ისინი, პირველი გაგანოველები

...„ამ ადამიანის საქციელის დიდი ფასი და კეთილშობილება ის არის, რომ მას ეს ნაბიჯი გადაადგმევინა არა მატერიალურმა დაინტერესებამ, არამედ იდეამ, იდეურმა ერთგულებამ კომუნისტური წყობილებისადმი“.

ნ. ს. ხრუშჩოვი.

ქართველ გაგანოველთა აკვანთან

ე. გეგელაშვილი

გორი ქართველ გაგანოველთა აკვანია. ვიშნი ვოლოჩეკის ბამბეულის კომბინატის მოწინავე ბრიგადირის პატრიოტულ თაოსნობას ჩვენს რესპუბლიკაში ერთ-ერთმა პირველმა დაუჭირეს მხარი გორის ბამბეულის კომბინატის ფეიქრებმა ელენე გეგელაშვილმა და დუშა ხაჩიძემ. ისინი მოწინავედან ჩამორჩენილ ბრიგადებში გადავიდნენ სამუშაოდ და იკისრეს, რომ მათ მალე დააწინაურებდნენ. ეს იყო თვენახევრის წინათ.

სიბეჯითით, კარგი ორგანიზატორ ულიმუშაობით პატრიოტმა ქალიშვილებმა სიტყვა საქმედ აქციეს. მათ წარმატებით გადალახეს სიძნელეები და საგრძნობლად აამაღლეს კოლექტივების შრომითი მაჩვენებლები.

ფეიქართა ბრიგადამ, რომელსაც ელენე გეგელაშვილი ხელმძღვანელობს, თვენახევრის განმავლობაში გეგმის გადამეტებით 1.500 კილოგრამი ნართი მისცა სამშობლოს. ბრიგადამ წარმატებით დაამთავრა გასული თვე, დავალება 116,2 პროცენტით გაანაღდა და გეგმის გადამეტებით ათასობით მანეთის პროდუქცია გამოუშვა.

ბრიგადის წარმატებებში წვლილი შეაქვთ მრთველებს ა. პანოვას, ს. ხაჩიკოვას, ჩამომხსნელებს ა. შაიკინას, გ. იაკოვინას, ა. ჩოჩიშვილს, რომლებიც შრომის მისაბაძ მაგალითს იძლევიან.

ყოველ დღეს ახალი წარმატება მოაქვს. 21 და 22 სექტემბერს ბრიგადის წევრებმა გეგმის გადამეტებით 103,3 კილოგრამი ნართი გამოუშვეს და ცვლის დავალება 120 პროცენტით შეასრულეს.

ასევე მაღალნაყოფიერად შრომობს დუშა ხაჩიძის ბრიგადა, რომელმაც აგვისტოს დავალება 112,8 პროცენტით შეასრულა. უკანასკნელ ხანს ეს ბრიგადა განსაკუთრებით მაღალ მაჩვენებლებს აღწევს. 21 და 22 სექტემბერს გეგმის გადამეტებით 198,8 კილოგრამი მაღალხარისხოვანი ნართი გამოუშვა.

ახლა გორელი ფეიქრები წინასაოქტომბრო შრომითს ვახტზე დგანან. შვიდწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის გაჩაღებული შემოქმედებითი შრომის ავანგარდში არიან ე. გეგელაშვილისა და დ. ხაჩიძის ბრიგადები, რომელთა წევრები ძალღონეს არ იშურებენ იმისათვის, რომ მეტი და მაღალხარისხოვანი გორული ქსოვილი მიაწოდონ მომხმარებელს.

საქალაქო გაზეთი „სტალინელი“ —

„კომუნისტის“ კოლექტიური კორესპონდენტი.





მეგობრები ერთმანეთისაგან სწავლობენ

ვალენტინა გაგანოვა და ნიკოლოზ მამაი

მიესალმებიან თავიანთ ქართველ მეგობრებს

ამას წინათ ჩვენი გაზეთის თანამშრომელი ტელეფონით ესაუბრა სოციალისტური შრომის გმირებს ვალენტინა გაგანოვასა და ნიკოლოზ მამაის, რომლებსაც აცნობა, რომ საქართველოში 25 სექტემბერს ეწყობა გაგანოველთა რესპუბლიკური შეკრება და სთხოვა მათ გამოეთქვათ თავიანთი სურვილები.

და აი გუშინ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ მიიღო ორი ტელეფონოგრამა, რომლებსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ.

თბილისი. გაგანოველთა რესპუბლიკური შეკრების მონაწილეებს

ძვირფასო ქართველო მეგობრებო! სულითა და გულით მოგესალმებით თქვენ, ქართველი გაგანოველების პირველი რესპუბლიკური შეკრების მონაწილეებს. რაოდენ სასიხარულოა ჩემთვის ის, რომ მზიურ საქართველოში ძალიან ბევრი მიმდევარი და მეგობარი მყავს. როგორ არ უნდა ვიამაყო, როცა ათასობით მოწინავე ადამიანი თავის თავს გაგანოველს უწოდებს. და ასეთი ერთ-ერთი პირველნი არიან გორელი მქსოველები ელენე გეგელაშვილი და დუშა ხაჩიძე, რომლებთანაც გულთბილი მიმოწერა და მჭიდრო ურთიერთობა მაქვს. მაგრამ, ჩემი აზრით, მარტო მიმოწერა როდი კმარა. საჭირო იქნება ვესტუმროთ ერთმანეთს, გავუზიაროთ გამოცდილება და ამით პირადი ურთიერთობა დავამყაროთ.

ჩემო ქართველო დებო და ძმებო! მოგესალმებით შორეულ ვიშნი ვოლოჩეკიდან და შეკრების ყველა მონაწილეს, ყველა ქართველ გაგანოველს ვუსურვებ წარმატებას მუშაობაში.

ვალენტინა გაგანოვა,

კალინინის ოლქი, ვიშნი ვოლოჩეკის ბამბეულის კომბინატი.

თბილისი. გაგანოველთა რესპუბლიკური შეკრების მონაწილეებს

მიიღეთ დონბასელ მეშახტეთა მხურვალე, ძმური სალამი. სიხარულით შევიტყე, რომ ქართველ გაგანოველებს პირველი რესპუბლიკური შეკრება გაქვთ და ამ შეკრებაში მონაწილეობს ცნობილი ქართველი მეშახტე შოთა კუბლაშვილი, რომელიც მე მეჯიბრება. მე სისტემატურად ვგებულობ კუბლაშვილის შრომითი წარმატებების ამბავს, ასევე ისიც დაინტერესებულია ჩემი საქმიანობით, ერთმანეთთან გულთბილი, მეგობრული მიმოწერა გვაქვს. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს კარგია, საერთო საქმის წარმატების საწინდარია, მაგრამ უკეთესი იქნება ერთმანეთს რომ ვეწვიოთ, პირადად ვნახოთ ჩვენი საქმეები, ჩვენი ავკარგი.

ძვირფასო მეგობრებო! ჩემი ბრიგადის სახელით სულითა და გულით მოგესალმებით ქართველ გაგანოველთა პირველი რესპუბლიკური შეკრების მონაწილეებს და გისურვებთ წარმატებებს მშობლიური პარტიის მიერ დასახულ ამოცანათა შესრულებაში.

ნიკოლოზ მამაი,

კრასნოდონის ქვანახშირის ტრესტი, „სევერნაია“ № 2 შახტის მეხუთე უბანი.

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

ქალაქ დე-მოინის სავაჭრო პალატაში 22 სექტემბერს

ბატონო გუბერნატორო!

ბატონო მერო!

ბატონო სავაჭრო პალატის თავმჯდომარეებ!

ქალბატონებო და ბატონებო, მეგობრებო!

ნება მიბოძეთ მადლობა მოგახსენოთ იმისათვის, რომ მომიწვიეთ მენახა თქვენი შტატი, მისი დედაქალაქი — შესანიშნავი ქალაქი დე-მოინი და იმ გულთბილი მიღებისათვის, რომელიც აქ მოგვიწყეთ მე და ჩემს თანამგზავრებს. მადლობას მოვახსენებ აგრეთვე თქვენი სავაჭრო პალატის თავმჯდომარეს და მის კოლეგებს იმისათვის, რომ შესაძლებლობა მომცეს გამოვსულიყავი თქვენს წინაშე.

ვსარგებლობ შემთხვევით, რათა თქვენ და თქვენი მეშვეობით აიოვას შტატის მთელ მოსახლეობას გადავცე საბჭოთა ხალხის გულითადი სალამი და საუკეთესო სურვილები წარმატებისა შრომასა და ცხოვრებაში.

მოხარული ვართ ვნახოთ აიოვას შტატი, რომლის სახელი, როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების უდიდესი ცენტრისა, შორს გავრცელდა შეერთებული შტატების ფარგლებს გარეთ.

ჩვენში, საბჭოთა კავშირში კარგად იციან, რომ თქვენს შტატს დიდმნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სიმინდის მსოფლიო წარმოებაში, რომ თქვენ დიდი წარმატება გაქვთ მეცხოველეობის განვითარებაში. როგორც ჩანს, თქვენთვის ინტერესს მოკლებული არ არის შეიტყოთ, რომ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი სასოფლო-სამეურნეო რაიონი — კრასნოდარის მხარე — ამოცანად ისახავს შეეჯიბროს აიოვას შტატს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებაში. და ყუბანის კაზაკთა ბევრ სტანიცაში ფართოდ ცნობილია თქვენი ფერმების მიღწევები სიმინდის, ხორცის, რძისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოებაში.

მე თქვენს ქვეყანაში არა ვყოფილვარ, მაგრამ ბევრი საუბარი მქონია ამერიკელი ხალხის წარმომადგენლებთან, ამერიკაში ნამყოფ ჩვენს ადამიანებთან. მახსენდება, კერძოდ, საუბრები ერთ-ერთ ფერმერთან თქვენი შტატიდან ბატონ ჰარსტთან, რომელიც არაერთგზის ყოფილა საბჭოთა კავშირში. მახსენდება აგრეთვე საუბრები სენატორ ელენდერთან, რომელიც აგრეთვე გვიამბობდა თქვენს სოფლის მეურნეობაზე. მე შემთხვევას არ ვუშვებ ვნახო ფილმები, რომლებიც გვიჩვენებენ თქვენი ქვეყნის ცხოვრების სხვადასხვა მხარეს.

ამერიკის შეერთებული შტატების, და განსაკუთრებით თქვენი შტატის, სოფლის მეურნეობა ჩვენთვის დიდ ინტერესს წარმოადგენს უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ იგი დიდად მექანიზებული მეურნეობაა. თქვენს ცალკეულ ფერმებში მიღწეულია შრომის მაღალი ნაყოფიერება მინდვრის სამუშაოთა მექანიზაციით, აგრეთვე ყველა სახეობის პირუტყვისა და ფრინველის გასუქებით. ამჟამად თქვენში გამომუშავება თვითეულ მომუშავეზე სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვნად უფრო მაღალია, ვიდრე ჩვენს კოლმეურნეობებში. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი თქვენი ეკონომისტი შეცდომას უშვებს, როცა მექანიკურად ადარებს მონაცემებს თქვენს ფერმებსა და ჩვენს კოლმეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამომუშავების შესახებ თვითეულ მომუშავეზე გაანგარიშებით. ისინი ამასთან არ ითვალისწინებენ, რომ სოფლის მეურნეობა საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებში სრულიად საწინააღმდეგო საწყისებს ემყარება.

თუ თქვენში ფერმები კერძო კაპიტალისტური საწარმოებია, რომლებიც ცალკეულ მფლობელს ეკუთვნის, საბჭოთა კავშირში კოლმეურნეობები წარმოადგენენ კოოპერაციულ საზოგადოებრივ მეურნეობებს, რომლებიც გლეხთა კოლექტივებს ეკუთვნის.

თქვენს მეურნეობებში ყოველივე იმას, რაც ეკონომიურად ხელსაყრელი არ არის, ერთმევა სიცოცხლის უფლება და აღარ არსებობს. სუსტი ფერმები, რომლებსაც არა აქვთ საკმაო შემოსავალი და საბრუნავი სახსრები, მხარდამხარ ვერ მიჰყვებიან ცხოვრებას, მათ არ ძალუძთ უზრუნველყონ მექანიზაციის ისეთი მაღალი დონე, როგორც მსხვილ ფერმებში, ჩამორჩებიან მათ, ნადგურდებიან, და მათს ადგილს იკავებენ უფრო ძლიერნი. თქვენში მოქმედებს კაპიტალიზმისათვის ჩვეული კონკურენციის კანონი.

ჩვენში კი სოფლის მეურნეობა ვითარდება სხვა, სახელდობრ, სოციალისტურ პრინციპებზე. კოლმეურნეობები არიან მსხვილი კოოპერაციული მეურნეობანი, რომლებიც შეიქმნენ გლეხურ მეურნეობათა ნებაყოფლობითი გაერთიანების შედეგად. ამიტომ ჩვენში სამუშაოზე განსაზღვრულ მეურნეობაში დასაქმებულია არა იმდენი ადამიანი, რამდენიც მინიმალურად საჭიროა იმისათვის, რომ თავი გაართვას ნიადაგის დამუშავებას, ნათესების მოვლასა და ცხოველებისა და ფრინველის გაზრდას, არამედ იმდენი, რამდენიც მუშაკია ამ კოოპერატივში. ხომ არ შეიძლება დავუშვათ ისეთი მდგომარეობა, რომ კოოპერატივის წევრთა ერთი ნაწილი მუშაობდეს, მეორეს კი არა ჰქონდეს შრომის უფლება. ჩვენ ვხედავთ ნაკლოვანებებს შრომის ორგანიზაციასა და მუშახელის გამოყენებაში კოლმეურნეობებში და თავიდან ვიცილებთ ამ ნაკლოვანებებს.

რა თქმა უნდა, ჩვენი სოფლის მეურნეობის ჩამორჩენა თქვენს მეურნეობასთან შედარებით მექანიზაციისა და შრომის ნაყოფიერების დარგში დროებითი მოვლენაა. სოფლის მეურნეობის სოციალისტური სისტემა შესაძლებლობას იძლევა მოკლე ვადაში გადავლახოთ ეს ჩამორჩენა და უზრუნველვყოთ შრომის უფრო მაღალი ნაყოფიერება, ვიდრე თქვენს ფერმებშია. იგი უსაზღვრო ასპარეზს იძლევა წარმოების განვითარებისათვის, რამდენადაც მისთვის უცხოა კრიზისები და კონკურენცია. ჩვენში არ არის და არც შეიძლება იყოს ამა თუ იმ მეურნეობის განადგურების საფრთხე. ჩვენს ქვეყანაში არის მიწათმოქმედების საკმაოდ მაღალი კულტურაც და არიან კვალიფიციური კადრებიც, მანქანათმშენებლობის მრეწველობა, რომელსაც უნარი აქვს აწარმოოს სოფლის მეურნეობისათვის საჭირო მანქანები. ჩვენ ვესწრაფვით იმას, რომ განვახორციელოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა პროცესის კომპლექსური მექანიზაცია თანამედროვე მანქანების გამოყენებით, უფრო გონივრულად გამოვიყენოთ მუშახელი, უზრუნველვყოთ მეტი გამომუშავება თვითეულ მომუშავეზე. ჩვენ გვყავანან შესანიშნავი მექანიზატორები, რომლებმაც სიმინდის, ბამბის, ჭარხლისა და სხვა კულტურების მოყვანაში შრომის უფრო მეტ ნაყოფიერებას მიაღწიეს, ვიდრე თქვენს საუკეთესო ფერმებში. ამჟამად ჩვენ დაჩქარებული ტემპით ვავითარებთ ქიმიურ მრეწველობას, რაც შესაძლებელს გახდის გამოვიმუშაოთ უფრო მეტი მინერალური სასუქები და შხამ-ქიმიკატები, რომელთა ფართოდ გამოყენება შესაძლებლობას მოგვცემს მნიშვნელოვნად გავადიდოთ სასოფლო - სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, გავზარდოთ გამომუშავება თვითეულ მომუშავეზე მიწათმოქმედებაში. ეს არის ჩვენი დიდი რეზერვი. არის კიდევ სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი ზრდის სხვა დიდი რეზერვები. ჩვენ გვაქვს ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების მძლავრი პარკი.

სოფლის მეურნეობის განვითარებაში ჩვენ ახლა წინ მივდივართ მეტად წარმატებით. მოკლე პერიოდში — სულ ხუთ წელიწადში— მარცვლეულის წარმოება 1953 წლის 82 მილიონი ტონიდან გადიდდა 141 მილიონ ტონამდე 1958 წელს, ამასთან მარცვლეულის სახელმწიფო შესყიდვა ხუთ წელიწადში 31 მილიონი ტონიდან 57 მილიონ ტონამდე გადიდდა. სულ სამ წელიწადში ჩვენ ავითვისეთ ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში 90 მილიონი აკრი ყამირი მიწები, რაც ოთხჯერ აღემატება აიოვას შტატის მთელ სათეს ფართობს. მნიშვნელოვნად მეტი გახდა პირუტყვის საკვები. სილოსის წარმოება ხუთ წელიწადში 32 მილიონი ტონიდან გადიდდა 148 მილიონ ტონამდე, მათ შორის სიმინდის სილოსი, რომელიც წინათ თითქმის არ ყოფილა, 1958 წელს ჩაიდო 108 მილიონი ტონა.

უკანასკნელ ხუთ წელიწადში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა ჩვენს ქვეყანაში გადიდდა 15 მილიონი სულით, ღორისა — 15 მილიონზე მეტით, ცხვრისა — 30 მილიონი სულით. ამან შესაძლებლობა მოგვცა გაგვიდიდებინა ხორცის სახელმწიფო შესყიდვა არამიწათმოქმედი მოსახლეობის საჭიროების უზრუნველყოფისათვის. 1959 წლის 8 თვეში ხორცი შესყიდულია მეტი, ვიდრე 1953 წლის შესაბამის პერიოდში, 3-ჯერ, რძე—2,3-ჯერ, კვერცხი — 2,2-ჯერ, მატყული — 2-ჯერ.

ჩვენს სოფლის მეურნეობას აქვს დიდი რეზერვები და განუსაზღვრელი შესაძლებლობა ნათესების შემდგომი გაფართოებისათვის, მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის განვითარებისათვის.

თქვენი კოლეგები—ამერიკელი ფერმერები, — რომლებიც საბჭოთა კავშირში იყვნენ, აცხადებენ, რომ ჩვენ ბევრი საინტერესო რამ გვაქვს მეცნიერების განვითარებაში, სასელექციო მუშაობაში, ტექნიკური კულტურების დამუშავებაში, მეცხოველეობის განვითარებაში. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენს ფერმერებსა და სპეციალისტებს შეუძლიათ ბევრი რამ გამოიყენონ იმ მიღწევებიდან, რომლებიც საბჭოთა კავშირს აქვს როგორც სოფლის მეურნეობის გაძღოლის პრაქტიკაში, ისე სოფლის მეურნეობის მეცნიერებაში. თქვენც ბევრი ძვირფასი და საგულისხმო რამ გაქვთ. ამერიკის შეერთებულ შტატებში ნამყოფი ჩვენი სპეციალისტები აღნიშნავენ თქვენს დიდ წარმატებას სიმინდის მოყვანასა და მეფრინველეობის დარგში. თქვენ იღებთ ფრინველის ხორცის დიდ წონის ნამატს საკვების ერთეულზე — ერთ კილოგრამ ნამატს დაახლოებით 2,5 კილოგრამ საკვებზე. ჩვენ უნდა გავიზიაროთ თქვენი გამოცდილება. ჩვენ ღირსეულად ვაფასებთ ამერიკელი ფერმერების, მეცნიერების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების ცოდნას, შრომას, გამოცდილებას. თქვენი წარმატება ღირსია ქებისა, ხოლო გამოცდილება შესწავლისა და მიბაძვისა.

შეიძლება ბევრი რამ სასარგებლო ვისწავლოთ ერთმანეთისაგან. მე მგონია, საჭირო არ არის ვილაპარაკოთ სოფლის მეურნეობის დარგში შესწავლის დიდ მნიშვნელობასა და ამ გამოცდილების გაცვლაზე.

მე ვიცი, რომ არიან ასეთი კონტაქტების მოწინააღმდეგენი, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ კონტაქტები, ეკონომიური ურთიერთობის გაუმჯობესება ჩვენს ქვეყნებს შორის ხელს შეუწყობენ საბჭოთა კავშირის უფრო სწრაფ სამეურნეო განვითარებას, მის მიერ თავისი გეგმების წარმატებით შესრულებას. თქვენი ქვეყნის პრესის ზოგიერთ ორგანოში იბეჭდება სტატიები, რომლებშიც

(დასასრული მე-2 გვერდზე)

აქ რა იყო შეუძლებელი?

შ. კუბლაშვილი

მალე ორი თვე შესრულდება, რაც ლენინის სახელობის შახტის მესამე საექსპლოატაციო უბანში ვმუშაობ. ეს უბანი ერთ-ერთი ჩამორჩენილი იყო ტყიბულში. მან წელს ოთხჯერ ჩაშალა ქვანახშირის ამოღების დავალება. ზოგიერთის აზრით, აქ საქმის გამოსწორება თითქოს შეუძლებელი იყო. ისინი იმოწმებდნენ რთულ გეოლოგიურ პირობებს, მოჰყავდათ ხელშემშლელი ობიექტური მიზეზები, რომელთა გამოსწორება თითქოს შეუძლებელი იყო. მე კი ყოველივე ეს არ მჯეროდა და გადავწყვიტე მეჩვენებინა მათთვის, რომ უბნის ჩამორჩენის მიზეზებია არა ის, რასაც ზოგიერთები ამბობდნენ, არამედ შრომის დაბალი ორგანიზაცია, ცუდი ხელმძღვანელები. ამიტომ ჩემი მეგობრის, დონბასელი ცნობილი მეშახტის ნიკოლოზ მამაის მაგალითისამებრ მოვითხოვე მოწინავე ბრიგადიდან გადავეყვანეთ მესამე საექსპლოატაციო უბნის ყველაზე ჩამორჩენილ ბრიგადაში.

უნდა გამოვტყდე, რომ ახალი სამუშაო სახარბიელო როდი აღმოჩნდა. სამთო გამონამუშევართა დიდი ნაწილი ცუდ მდგომარეობაში იყო. ქვანახშირის მომხვეტი ხუთი კონვეიერი მთლიანად ფუჭი ქანებითა და ხის ნარჩენებით იყო დანაგვიანებული. ხშირი იყო ავარიები, ტრანსპორტის შეფერხება და ა. შ.

პირველი იერიში ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის მივიტანეთ. ყველამ მხარი დაგვიჭირა. ორი კვირის განმავლობაში ჩვენს უბანში მუშაობის ნორმალური პირობები შეიქმნა. იმატა ქვანახშირის ამოღებამ. მაგრამ გეგმის შესრულებისათვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ჩვენ მრავალი საკითხი დავაყენეთ მუშაობის ახლებურად მოწყობისათვის. ამ საკითხების მოგვარებით მდგომარეობა გამოსწორდა.

ყოველივე ამის შედეგად როგორც ჩვენი ბრიგადა, ისე უბანი მიუახლოვდა დავალების შესრულებას. ამჟამად კი ჩამორჩენა მთლიანად ლიკვიდირებულია. სექტემბრის პირველ ორ დეკადაში ბრიგადამ ქვანახშირის ამოღების დავალება 120,8 პროცენტით გაანაღდა. ბრიგადის თვითეული წევრი ცვლაში ნორმის ზევით ერთნახევარ ტონა ქვანახშირს იღებს. გარღვევას თავი დააღწია ცვლამ და უბანმაც.

ასეთია ჩვენი პირველი წარმატებები.

შ. კუბლაშვილი,

ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის მესამე საექსპლოატაციო უბნის კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი.

სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის 10 წლისთავის დღესასწაულისათვის

მიწვევის თანახმად, რომელიც მიღებულია ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ მაო ძე-დუნისაგან, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის ამხანაგ ლიუ შაო-ცისაგან, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ ჯუ დესა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის ამხანაგ ჯოუ ენ-ლაისაგან, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს ეს არ მჯეროდა და გადაგწყვიტეს მეჩვენებინა მათთვის, რომ უბნის ჩამორჩენის მიზეზებია არა ის, რასაც ზოგიერთები ამბობდნენ, არამედ შრომის დაბალი ორგანიზაცია, ცუდი ხელმძღვანელები. ამიტომ ჩემი მეგობრის, დონბასელი ცნობილი მეშახტის ნიკოლოზ მამაის მაგალითისამებრ მოვითხოვე მოწინავე ბრიგადიდან გადავეყვანეთ მესამე საექსპლოატაციო უბნის ყველაზე ჩამორჩენილ ბრიგადაში.

ნებული. ბ. ნ. ხრუშჩოვი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე (დელეგაციის მეთაური), მ. ა. სუსლოვი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ა. ა. გრომიკო — **საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, უ. ა. ტაშენევი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, ა. ნ. შელეპინი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, ს. ვ. ჩერვონენკო — უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ტ. ნ. ნიკოლაევა—საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი, ი. ვ. არხიპოვი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ი. ვ. ანდროპოვი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე.**

დელეგაცია მოსკოვიდან პეკინს გაემგზავრება 27 სექტემბერს. იმასთან დაკავშირებით, რომ ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი და ა. ა. გრომიკო არიან ამერიკის შეერთებულ შტატებში, ისინი უფრო გვიან გაემგზავრებიან პეკინში. ამ ხნის განმავლობაში დელეგაციის მეთაური იქნება ამხანაგი მ. ა. სუსლოვი.

ნ. ს. ხრუშჩოვი აიოვას შტატის დედაქალაქ დე-მოინში ესტუმრა ხორცის ქარხანას. როდესაც ნიკიტა სერგის-ძემ ქარხნის პროდუქცია გასინჯა, შენიშნა, თუმცა საბჭოთა კავშირმა ამერიკის შეერთებულ შტატებს კოსმოსურ გამოკვლევებში გაუსწრო, ამერიკა მაინც წინ არის სოსისის წარმოების მხრივ. მაგრამ საბჭოთა კავშირი ამერიკის შეერთებულ შტატებს ამ დარგშიც მალე დაეწევაო.

საკდესის ფოტოქრონიკა. (სურათი მიღებულია საკდესის ფოტოტელეგრაფით).

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

(დასასრული)

ცდილობენ ჩვენი შვიდწლიანი გეგმა წარმოადგინონ როგორც რაღაც „საფრთხე საბჭოთა ეკონომიური შეტევისა“. მაგრამ საკითხავია, რა და ვისთვის წარმოადგენს საფრთხეს ჩვენი მისწრაფება გაჯავიდოთ, მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ოდენობა? რა არის ცუდი იმაში, რომ ჩვენ გვსურს შეგეჯიბროთ, მაგალითად, სიმინდის, ხორცისა და რძის წარმოებაში? არა მგონია, რომ ვინმემ დაიწყოს იმის მტკიცება, რომ რძის, კარაქისა და ხორცის მეტი მოხმარებით საბჭოთა ადამიანი „აგრესიული“ გახდება!

დიახ, ჩვენმა ხალხმა წამოაყენა ლოზუნგი: „დავეწოთ და გავუსწროთ შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ“. მაგრამ განა შეიძლება ეს მივიჩნიოთ ამერიკელებისათვის რაღაც „საფრთხედ“? ჩვენ, მაგალითად, სულაც არ ვფიქრობთ აიოველი ფერმერები მივიჩნიოთ აგრესიულ ადამიანებად იმის საფუძველზე, რომ ისინი მნიშვნელოვნად მეტ სიმინდსა და ხორცს აწარმოებენ, ვიდრე ყუბანის კოლმეურნეობები ამჟამად. ჩვენ შეჯიბრებაში გიწევთ ხორცის, რძის, კარაქის, ფართო მოხმარების საქონლის, მანქანების, ფოლადის, ქვანახშირის, ნავთობის წარმოებისათვის, რათა ადამიანებმა უკეთ იცხოვრონ. ეს გაცილებით უფრო სასარგებლო შეჯიბრებაა, ვიდრე შეჯიბრება წყალბადის ბომბებისა და ყოველგვარი იარაღის დაგრეგვაში. დაე იყოს მეტი სიმინდი და ხორცი და სულაც არ იყოს წყალბადის ბომბები!

სოფლის მეურნეობა ყველაზე ძველი, ყველაზე არსებითი და ყველაზე მშვიდობიანი დარგია ადამიანის მოღვაწეობისა. ჩვენ ამის მომხრე ვართ, რომ ყანებში იზრდებოდეს პური და ყვავოდნენ ბაღები, რათა მიწას ხნავდნენ მშვიდობიანი გუთნები და არა რაკეტები და ტანკების მუხლუხები.

თქვენ ალბათ იცით, თუ ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი განვითარების რა უდიდესი პერსპექტივებია დასახული შვიდწლიან გეგმაში. თქვენ საქმის ხალხი ხართ და კარგად გაქვთ შეგნებული, რომ ის, ვინც მთელ ყურადღებას აქცევს მშვიდობიანი ეკონომიკის განვითარებას, ამისათვის წარმართავს თავის სახსრებსა და ძალებს, იგი დაინტერესებული არ არის ომით და საომარი მზადებით. უმჯობესია ვიკაჭროთ სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის პროდუქციით, ვიდრე განვაგრძოთ გამალებული შეიარაღება და საერთაშორისო ვაჭრობის დისკრიმინაცია.

საბჭოთა ხალხის მთელი ძალები წარმართულია მშვიდობიანი მშენებლობისათვის. ჩვენი შვიდწლიანი გეგმა ითვალისწინებს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდებას მთლიანად თითქმის ორჯერ, ხოლო ბევრ დიდმნიშვნელოვან დარგში — რამდენჯერმე. სოფლის მეურნეობის დარგში ჩვენ ვისახავთ ყოველწლიურად ვაწარმოოთ: მარცვლეული 164-180 მილიონი ტონა, შაქრის ჭარხალი 76-84 მილიონი ტონა, ხორცი — სულ ცოტა 16 მილიონი ტონა, რძე — 100-105 მილიონი ტონა. საბჭოთა ადამიანები დარწმუნებული არიან, რომ ეს საგეგმო დავალებანი არამარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შესრულდება. რძისა და განსაკუთრებით კარაქის მთლიანი წარმოებით საბჭოთა კავშირმა უკვე 1958 წელს გაუსწრო ამერიკის შეერთებულ შტატებს და იმედი აქვს უახლოეს წლებში დაეწიოს და გაუსწროს ამერიკის შეერთებულ შტატებს აგრეთვე ამ პროდუქტების წარმოების მხრივ ერთ სულ მოსახლეზე. ჩვენს ქვეყანაში ვაწარმოებთ მეტ ხორბალს, შაქრის ჭარხალსა და მატყლს, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში. მაგრამ მე არა ვფიქრობ, რომ ეს რაიმე ზიანს აყენებდეს შეერთებულ შტატებს ან აიოველ ფერმერებს.

უკანასკნელ წლებში მრავალი ამერიკელი იყო საბჭოთა კავშირში. ჩვენთან ჩამოდიოდნენ თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები, სენატორები და კონგრესმენები, საქმიანი წრეების წარმომადგენლები, მეწარმეები და ფერმერები. ყველა ისინი სარგებლობდნენ საბჭოთა ადამიანების სტუმართმოყვარეობით და შეეძლოთ პირადად დარწმუნებულიყვნენ საბჭოთა ხალხის მშვიდობისმოყვარეობაში, იმაში, რომ იგი მეგობრობის გრძნობით არის გამსჭვალული ამერიკელი ხალხისადმი.

ჩვენს ვიზიტს ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტ ეიზენჰაუერის მოწვევით მიზნად აქვს ხელი შეუწყოს საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების ურთიერთობის გაუმჯობესებას, მშვიდობის საქმის განმტკიცებას.

როგორც ისტორია ცხადყოფს, საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს წარსულში არა ჰქონიათ და ამჟამად არა აქვთ რაიმე ტერიტორიული დავა, რამაც ხელი შეუშალოს კარგ, მეგობრულ ურთიერთობას. ცნობილია აგრეთვე, რომ ამერიკელთა შორის ცოტა როდია ისეთი ადამიანი, რომელთაც სურთ კარგი ურთიერთობა ჩვენს ქვეყანასთან.

საბჭოთა კავშირის ხალხებს გულწრფელად სურთ განმტკიცონ და განვითარონ მეგობრული ურთიერთობა ამერიკელ ხალხთან. თქვენ იცით, რომ წარსულში ჩვენი ქვეყნების ურთიერთობაში მეგობრული თანამშრომლობის ცოტა კარგი მაგალითი როდი ყოფილა. მეორე მსოფლიო ომის წლებში საბჭოთა კავშირი და შეერთებული შტატები ერთად, ხელიხელჩაკიდებულნი გამოდიოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ, რომელიც მთელ კაცობრიობას ემუქრებოდა. და ამან დაიჩქარა გამარჯვება და მოიტანა მშვიდობა, რომლის სიკეთით ხალხები სარგებლობენ.

საბჭოთა ადამიანებს სურთ, რომ ჩვენი ქვეყნების ხალხთა მეგობრული თანამშრომლობის გამოცდილება განმტკიცდეს და უფრო გაფართოვდეს თანამედროვე პირობებში მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

ჩვენ მოვითხოვთ გაუმჯობესდეს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა და მიგვაჩნია, რომ ეს შეეფერება ორივე ხალხის ინტერესებს. მეგობრული ურთიერთობის დამყარება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს შორის მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისა და ყველა ხალხის კარგი ურთიერთობის გზაზე. თქვენი ქვეყნის საქმიან წრეებს შეუძლიათ დიდმნიშვნელოვანი როლი შასრულონ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესებაში. მთელი კაცობრიობა ახლა დიდ იმედს ამყარებს იმაზე, რომ საბჭოთა კავშირი და შეერთებული შტატები დიდ წვლილს შეიტანენ თანამედროვეობის ძირეული პრობლემების გადაჭრაში, მშვიდობის საქმის განმტკიცებაში.

თუ მოვახერხეთ ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის გაუმჯობესება, მოვაგვარეთ ურთიერთსასარგებლო ვაჭრობა, კიდევ უფრო გავაფართოეთ კულტურული, სპორტული და სხვა ურთიერთობა, ჩვენ ამით დიდ წვლილს შევიტანთ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში, მშვიდობიანი თანაარსებობის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეში. ეს კი თავის მხრივ კეთილნაყოფიერ გავლენას მოახდენს ჩვენი ხალხების, მთელი კაცობრიობის ცხოვრებაზე.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩვენი ყოფნის დროს ბევრი საინტერესო შეხვედრა და საუბარი გვქონდა ამერიკელი ხალხის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებთან. ეს შეხვედრები და საუბრები ცხადყოფენ, რომ ამერიკელ ხალხს არა სურს ომი, იგი მშვიდობას ესწრაფვის. ჩვენ მოვისმინეთ ბევრი გულთბილი სიტყვა, რომლებიც საბჭოთა ხალხის მიმართ ითქვა. ბევრი მეგობრული სურვილი. ჩვენ მადლობელი და მადლიერი ვართ ამ გრძნობების გამოთქმისათვის და ჩვენი მხრივ გარწმუნებთ, რომ საბჭოთა ადამიანები ელოდებიან ჩვენს ქვეყანაში პრეზიდენტ ეიზენჰაუერის ჩამოსვლას და მას ღირსეულ შეხვედრას მოუწყობენ.

ვამთავრებ რა სიტყვას, ერთხელ კიდევ მსურს განვაცხადო, რომ საბჭოთა ხალხს განუხრელად სურს დაიცვას მშვიდობის საქმე, გაუმჯობესოს და განვითაროს მეგობრული ურთიერთობა და თანამშრომლობა ჩვენს ქვეყნებს შორის, ყველა ქვეყნის ხალხთა შორის ამ მიზანს ემსახურებიან საბჭოთა კავშირის მთავრობის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შეტანილი წინადადებანი საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ. ამავე მიზანს ემსახურებიან საბჭოთა კავშირის წინადადებანი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ. ჩვენი აზრით, ეს პრობლემები არ წარმოადგენენ გადაუჭრელ პრობლემებს, თუ, რა თქმა უნდა, არის მათი მოწესრიგების სურვილი. ხოლო სადაც სურვილია, იქ გზაც არის. ეს პრობლემები შეიძლება გადაიჭრას, იმიტომ რომ ყველა ხალხს აქვს ერთი მიზანი — ყველაზე კეთილშობილური და სასიცოცხლოდ დიდმნიშვნელოვანი მიზანი — მშვიდობის დაცვა.

ამ მაღალი მიზნის მიღწევისათვის ყველა ქვეყანამ უნდა მიიღოს ღონისძიებანი და გამოიჩინოს სულ დიდი სურვილი. საჭიროა მსოფლიოს ყველა ქვეყნისა და პირველ რიგში ჩვენი და თქვენი ქვეყნების თანამშრომლობა, რათა მოხდეს დათბობა და საბოლოოდ გალხვეს „ცივი ომის“ ყინული. ცუდია ის ქარი, რომელსაც არავისათვის კეთილი არ მოაქეს. დაე ყანებში ქროდნენ მშვიდობისა და მეგობრობის ქარები, ხოლო ღრუბლები ცაში ჩნდებოდნენ მხოლოდ მაშინ, როცა საჭიროა კარგი წვიმა უხვი მოსავლისათვის.

მაშ დაე თვითეული ჩვენი ხალხის დროშაზე, ჩვენი მთავრობების შეგნებასა და მოქმედებაში ხელმძღვანელი იყოს ორი სიტყვა — მშვიდობა და მეგობრობა.

გისურვებთ წარმატებას თქვენი შესანიშნავი შტატის შემდგომ განვითარებაში, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას თქვენს ცხოვრებაში.

გმადლობთ ყურადღებისათვის.

(ნ. ს. ხრუშჩოვს სიტყვა დამსწრეებმა არაერთგზის გააწყვეტინეს ტაშით).

ნ. ს. ხრუშჩოვი ამერიკის შეერთებულ შტატებში

„კეთილი იყოს თქვენი მოგზაურობა!“ — ამგზავნეს დე-მოინის მცხოვრებნი

დე-მოინი, 23 სექტემბერი. **(საკდესის სპეც. კორ.).** 22 სექტემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირები 13 საათსა და 40 წუთზე ადგილობრივი დროით (22 საათსა და 40 წუთზე მოსკოვის დროით) სან-ფრანცისკოდან ჩამოვიდნენ დე-მოინში (აიოვას შტატის მთავარი ქალაქი).

აეროდრომზე ნ. ს. ხრუშჩოვს შეხვდნენ შტატის გუბერნატორი ჰერშელ ლოვლესი, ქალაქ დე-მოინის მერი ჩარლზ აილსი და სხვა ოფიციალური პირები.

შტატის გუბერნატორი ჰ. ლოვლესი მიესალმა ნ. ს. ხრუშჩოვს და იმედი გამოთქვა, რომ საბჭოთა მთავრობის მეთაური გაეცნობა აიოვას შტატის მიღწევებს, დაათვალიერებს სახლებს, ფაბრიკებს, სკოლებს, რამდენადაც ამის შესაძლებლობას მისცემს დრო.

მისალმების პასუხად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა განაცხადა, რომ იგი მეტად გაახარა აიოვას შტატში ჩამოსვლამ. „აიოვას შტატის შესახებ ჩვენმა ხალხმა ზოგი რამ იცის,—ამბობს ნიკიტა სერგის-ძე,—ჩვენ ვიცით, რომ სიმინდის წარმოების მხრივ თქვენ გიკავიათ პირველი ადგილი შეერთებულ შტატებში. ჩვენ ერთმანეთს ვეჯიბრებით, და ვფიქრობ, რომ ეს მეტად სასარგებლო იქნება“. ნ. ს. ხრუშჩოვმა მადლობა გადაიხადა გულითადი მისალმებისათვის და იმედი გამოთქვა, რომ შეხვედრები და საუბრები, რომლებიც გაიმართება, ხელს შეუწყობენ ხალხთა მეგობრობისა და მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეს.

ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირები გაემგზავრნენ ქალაქ დე-მოინში. მთელ გზაზე აეროდრომიდან დე-მოინამდე ნ. ს. ხრუშჩოვს მიესალმებოდნენ ქალაქის მცხოვრებთა დიდი ჯგუფები. აეროდრომის მისასვლელთან მოჩანს პლაკატი, რომელსაც რუსულ ენაზე აქვს წარწერა: „ამხანაგო ხრუშჩოვ, ერთად ვიაროთ მშვიდობისაკენ მსოფლიოში. ქ-ნი ლოგნერი“. იქვეა სტუდენტთა ჯგუფი. მათ ხელში უჭირავთ პლაკატი: „ვიცხოვროთ და ვიშრომოთ მშვიდობის პირობებში“. დე-მოინის მცხოვრებლები ნ. ს. ხრუშჩოვის ჩამოსვლამდე კარგა ხნით ადრე შეიკრიბნენ ქალაქის ქუჩებში. რამდენიმე ათეულ ათასობით კაცი შეხვდა საბჭოთა მთავრობის მეთაურს. ყველგან ხვდებიან მისალმების შეძახილებით, მეგობრული ღიმილით, დგანან ტროტუარებზე, სახლების ფანჯრებში, აივნებზე და სახურავებზეც კი.

მანქანები, რომლებშიც საბჭოთა სტუმრები სხედან, მიდიან ოტელ „ფორტ დე-მოინში“, სადაც იქნება ნ. ს. ხრუშჩოვის რეზიდენცია დე-მოინში ყოფნის დროს.

სასტუმრო „ფორტ-დე-მოინის“ შენობასთან ნ. ს. ხრუშჩოვს კვლავ მხურვალედ მიესალმა აიოვის დედაქალაქის ათასობით მცხოვრები. საბჭოთა მთავრობის მეთაური რომ გამოჩნდა, გაისმა ტაში, მისასალმებელი შეძახილები.

ნ. ს. ხრუშჩოვს სთხოვეს მისულიყო მიკროფონთან. კორესპონდენტებმა ჰკითხეს, თუ როგორ მოეწონა დარბაზობა აიოვაში. ნ. ს. ხრუშჩოვმა უპასუხა, აიოვას ხალხი ძალიან გულთბილად შემხვდაო.

კითხვაზე ამერიკის შეერთებულ შტატებში ესოდენ სწრაფმა მგზავრობამ ხომ არ დაგღალათო, ნ. ს. ხრუშჩოვმა ხუმრობით უპასუხა, მე არა მაქვს უფლება დავიღალოო. სიცოცხლის მესამედს ადამიანი ძილს ანდომებს, შენიშნა ნ. ს. ხრუშჩოვმა, და დანარჩენი ორი მესამედი სარგებლობით უნდა გამოიყენოს.

ნ. ს. ხრუშჩოვს ეკითხებიან, რამ მოახდინა თქვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება შეერთებულ შტატებშიო. ნ. ს. ხრუშჩოვი უპასუხებს: იმან, რომ ამერიკელი ხალხი, ისევე როგორც საბჭოთა ხალხი, მშვიდობას ესწრაფვის.

შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობს, რომ დე-მოინის ქუჩებში მან დაინახა პლაკატი: „ჩვენ ყოველთვის არ გეთანხმებით, მაგრამ მოგესალმებით“. ეს ძალიან გონივრული სიტყვებია, ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი. შეიძლება არ ვეთანხმებოდეთ ერთმანეთს, მაგრამ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და სსრ კავშირმა მშვიდობითა და მეგობრობით უნდა იცხოვრონ.

კითხვაზე ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის ხელმძღვანელებს შორის ყოველწლიურ შეხვედრას შეუძლია თუ არა ხელი შეუწყოს მშვიდობის საქმესო, ნ. ს. ხრუშჩოვმა უპასუხა, შეხვედრები და საუბრები გაცილებით უფრო სასარგებლოა. ვიდრე ნოტების გაცვლა, რომლებიც ზოგჯერ სასიამოვნო როდიაო. შესაძლოა, ამბობს იგი, საჭირო იყოს ერთმანეთს შევხვდეთ არა ერთხელ წელიწადში, არამედ ორჯერ წელიწადში.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მადლობა გადაუხადა დე-მოინის მცხოვრებლებს გულთბილი მიღებისათვის. პასუხად ყველამ გაისმა მჭუხარე ტაში.

დე-მოინი, 23 სექტემბერი. **(საკდესის სპეც. კორ.).** გუშინ ნაშუადღევს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და მისმა თანმხლებმა პირებმა დაათვალიერეს ხორცის ქარხანა, რომელიც ქალაქ დე-მოინის (აიოვას შტატი) ახლო მდებარეობს. ნ. ს. ხრუშჩოვი ინტერესით ეცნობოდა წარმოების ორგანიზაციას და საწარმოო-მოწყობილობას. მუშები გულთბილად მიესალმნენ საბჭოთა მთავრობის მეთაურს.

შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირები იყვნენ კომპანია „დირ ენდ კომპანის“ სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანაში.

ნ. ს. ხრუშჩოვმა დაათვალიერა ქარხნის საამქროები და გაეცნო წარმოებას. დათვალიერების დროს განმარტებას იძლეოდა ქარხნის გენერალური მმართველი ა. ლუნდალი.

ქარხნის ღია მოედანზე გამოფენილი იყო პროდუქციის ნიმუშები. ნ. ს. ხრუშჩოვმა დაათვალიერა სიმინდის, ბამბის ასაღები მანქანები, კულტივატორები და სხვა მანქანები.

ქარხნის დათვალიერების შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირები დე-მოინში დაბრუნდნენ.

მთელ გზაზე სასტუმრომდე ნ. ს. ხრუშჩოვს ათეულ ათასობით ამერიკელი მიესალმა. ხან აქ, ხან იქ ჩანდა ხელით გაკეთებული პლაკატები, რომლებსაც ჰქონდა წარწერები: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“, „მოგესალმებით, ნიკიტა ხრუშჩოვ“.

აიოვას შვაკი გულთბილად მიესალმება

კუნ-რაპიდსი (აიოვას შტატი), 23 სექტემბერი. **(საკდესის სპეც. კორ.).** დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი გაემგზავრა როსუელ ჰარსტის ფერმაში. ჰარსტმა, რომელიც არაერთხელ იყო საბჭოთა კავშირში, მიიწვია ნ. ს. ხრუშჩოვი დაეთვალიერებინა მისი მეურნეობა და გასცნობოდა მის მუშაობას. ნ. ს. ხრუშჩოვმა და მისმა თანმხლებმა პირებმა დაათვალიერეს ფერმა, გაეცნენ სიმინდის სასილოსედ აღების პროცესს, პირუტყვის მოვლა-შენახვას და ამ მსხვილი მეურნეობის სხვა დარგებს. მთელ გზაზე ქალაქ დე-მოინიდან ნ. ს. ხრუშჩოვს გულთბილად მიესალმებოდნენ აიოვას შტატის მცხოვრებნი.

აიოვას შტატი, რომელიც მდებარეობს ამერიკის შეერთებული შტატების ეგრეთწოდებულ სიმინდის სარტყელში, ამ ქვეყნის წამყვანი სასოფლო-სამეურნეო შტატია. მანქანებმა, რომლებითაც მიდიან ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირები, გაიარეს თვალწარმტაცი ადგილები. მიწა აქ ნაყოფიერია, ჰავა რბილი, უხვად მოდის ნალექი, რაც საშუალებას იძლევა მოიყვანონ სიმინდის, სორგოსა და სხვა კულტურების კარგი მოსავალი. დიდად განვითარებულია აქ აგრეთვე მეცხოველეობა. მაგრამ აიოველ შტატი ახლა სერიოზულ ეკონომიურ სიძნელეებს განიცდის. გაზეთ „დე-მოინ რეჯისტერის“ მონაცემებით, შტატის სოფლის მეურნეობის შემოსავალი მიმდინარე წლის ივნისსა და ივლისში 10 პროცენტით შემცირდა გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით.

ჰარსტის ფერმაში მიმავალთ გზაში ხვდება პატარა ქალაქები, განცალკევებული ფერმები. მათი მცხოვრებლები გამოდიან გზაზე და გულთბილად მიესალმებიან ნ. ს. ხრუშჩოვს. ყველა სკოლაში შეწყვეტილია მეცადინეობა, მოწაფეები მასწავლებლებთან ერთად ჩამწკრივებულნან გზის გასწვრივ მისასალმებელი პლაკატებით ხელში. ზოგიერთ შენობაზე გამოფენილია სახელმწიფო ალმები, რაც ჩვეულებრივად ხდება დიდი დღესასწაულების დროს.

ნიუ-იორკი, 23 სექტემბერი. (საკდესი). იუნაიტედ პრეს ინტერნაციონლის საგანგებო კორესპონდენტი, რომელიც აშუქებს ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობას დე-მოინიდან ჰარსტის ფერმაში, იუწყება:

ჰარსტის ფერმაში მიმავალმა ავტომობილებმა, რომლებითაც მიდიოდნენ ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირები, გაიარეს ქალაქებსა და სოფლებში, სადაც მათ მიესალმებოდნენ შტატის მცხოვრებთა ჯგუფები.

ქალაქ პერში, რომლის მოსახლეობა 6 ათას კაცს არ აღემატება, დაახლოებით 2 ათასი მცხოვრები გამოვიდა ქუჩაში, რათა ენახა რუსი სტუმარი. პლაკატზე, რომელიც მათ ხელში ეჭირათ, იყო წარწერა: „პერი მიესალმება ხრუშჩოვს“.

თხუთმეტიოდე ბავშვი გამოვარდა სკოლის პატარა თეთრი შენობიდან და ღობეზე მომდგარი ხელს უქნევდა ავტომობილთა კოლონას.

კუნ-რაპიდსი (აიოვას შტატი), 23 სექტემბერი. **(საკდესის სპეც. კორ.).** სტუმრების მანქანები მიადგნენ ჰარსტის ფერმის მიდგრებს. ამ დღეებში ფერმაში სასილოსედ იღებენ სიმინდს.

ფერმის დათვალიერების დროს ბ-ნი ჰარსტი ახსნა-განმარტებას აძლევს სტუმრებს, უჩვენებს სიმინდის მასის დასილოსების პროცესს, მოზარდეულის მოვლა-შენახვის მეთოდებს.

ნ. ს. ხრუშჩოვი უზიარებს შთაბეჭდილებებს, ეძლევა მრავალ კითხვას, ესაუბრება ფერმის მუშებს.

მრავალი კორესპონდენტი, რომლებიც გარს ახვევია ნ. ს. ხრუშჩოვს, სთხოვს მას გააკეთოს განცხადება. ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობს, რომ დიდი ხანია იცნობს ჰარსტს, როგორც კარგ ფერმერს. მაგრამ კარგ მეურნესაც კი შეიძლება ჰქონდეს შეცდომები. მას სურს უფდამ გვასწავლოს ჩვენ, თვითონ კი არ უგდებს ყურს მეგობრულ რჩევას. ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავს, რომ სიმინდის ნათესები ფერმის მინდვრებში მეტისმეტად ხშირია. საბჭოთა კავშირში, ამბობს იგი, უკვე იცან, რომ, რათა მიიღონ მეტი ტარო და, მაშასადამე, საკვები ერთეულიც, საჭიროა ბუდეში დატოვონ ორი-სამი ღერო.

ერთ-ერთი კორესპონდენტი აძლევს კითხვას, ხომ არ აპირებს საბჭოთა კავშირი კვლავ იყიდოს ჰიბრიდული თესლი ჰარსტისაგან. ნ. ს. ხრუშჩოვი მიმართავს ჰარსტს და ეკითხება, ნახა თუ არა მან სსრ კავშირში მოგზაურობის დროს საბჭოთა სიმინდი. ჰარსტი უპასუხებს, რომ მან საბჭოთა კავშირში ნახა ძალიან კარგი სიმინდი. ნ. ს. ხრუშჩოვი შენიშნავს, რომ მას ჰარსტისათვის რომ ეთხოვა კვლავ მიეყიდნა საბჭოთა კავშირისათვის ჰიბრიდული თესლი, ჰარსტი, ალბათ, მეტად გაოცებული იქნებოდა.

ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავს, რომ აიოვას შტატში ძალიან კარგი კლიმატური პირობებია და ნაყოფიერი მიწა. ჰარსტი ღიმილით შენიშნავს, რომ ღმერთი, როგორც ჩანს, ამერიკელების მხარეზეა.

— თქვენ ფიქრობთ, რომ ღმერთი თქვენ უფრო გეხმარებათ, ვიდრე ჩვენ? — ხუმრობით ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი. — ჩვენ უფრო სწრაფად ვიზრდებით, ვიდრე თქვენ. მაშასადამე, ღმერთი ჩვენ უფრო გვეხმარება.

შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირები ეწვივნენ მეზობელ ფერმას, რომელიც ჩარლზ ტომასს ეკუთვნის. იგი ცნობილია პირუტყვის ახალი ჯიშების გამოყვანის ცდებით. ამ ჯიშების მოზარდეული სწრაფად იზრდება. ამერიკელი ფერმერი სიხარულით შეხვდა სტუმრებს. ერთ-ერთმა ქალიშვილმა დაუყოვნებლივ აღებეჭდა სურათზე ნ. ს. ხრუშჩოვი ტომასის მთელ ოჯახთან ერთად.

ფერმის პატრონთან ერთად ნ. ს. ხრუშჩოვი წავიდა ბაკებში, სადაც დათვალიერა „შერეული“ ჯიშის ხარები. მას აინტერესებდა ცხოველთა გასუქების მეთოდები, მათი მონაცემები და ჩვევები.

ფერმის დათვალიერების შემდეგ ნიკიტა სერგის-ძემ ტომასების თხოვნით სურათი გადაიღო ფერმერის 5 წლის შვილიშვილთან — მართასთან.

მსუბუქი მანქანების კოლონამ რამდენიმე კილომეტრი გაიარა გზატკეცილით სიმინდის მინდვრებს შორის და მივიდა სიმინდის დასამუშავებელ საწარმოში, რომელიც ჰარსტს ეკუთვნის. აქ ნ. ს. ხრუშჩოვი ეცნობოდა დასამუშავებელი სიმინდის ტაროების ჩაყრის მეთოდებს. მან მოიწონა ფერმერის მიერ მოყვანილი სიმინდის ხარისხი. როცა ჰარსტმა უთხრა კორესპონდენტებს, საბჭოთა კავშირში არის ზუსტად ასეთივე საწარმო და ასევე კარგი სიმინდიო, ნიკიტა სერგის-ძემ შენიშნა, რომ ეს მთლად ასე არ არის. საბჭოთა ადამიანებმა შეისწავლეს ამერიკელების მიერ შემუშავებული პრინციპები და შეიტანეს თავიანთი გაუმჯობესებანი.

ამ საწარმოს დათვალიერების შემდეგ ბ-ნმა ჰარსტმა საუზმეზე მიიწვია ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლებნი თავის ფერმაში.

ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტი—მშვიდობის იმედი

დე-მოინი, 23 სექტემბერი. **(საკდესის სპეც. კორ.).** მას შემდეგ, რაც რ. ჰარსტის ფერმაში გულითადად შეხვდნენ, ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირები ავტომანქანებით გაემგზავრნენ ქალაქ ეიმსში, სადაც არის აიოვას შტატის უნივერსიტეტი. უნივერსიტეტის ქალაქში ნ. ს. ხრუშჩოვს განსაკუთრებული გულთბილობით შეხვდნენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა და სტუდენტები.

აქ შეიკრიბა მრავალი ჭაბუკი და ქალიშვილი, რომლებიც უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსებიდან გამოვიდნენ. უნივერსიტეტის ქალაქში შესასვლელთან გამოკიდებული იყო დიდი პლაკატი რუსულ ენაზე: „თავმჯდომარე ხრუშჩოვ, დაგლოცოთ ღმერთმა და მადლობას მოგახსენებთ თქვენი წინადადებისათვის განიარაღების შესახებ“. სტუდენტებს ხელში ეჭირათ პლაკატები: „მოდით ერთად გაშენოთ მშვიდობა“; ისინი ნ. ს. ხრუშჩოვს შეხვდნენ მოწონებისა ხმამაღალი შეძახილებით და ტაშით. უნივერსიტეტში ნ. ს. ხრუშჩოვის მისვლის დღეს გამოვიდა უნივერსიტეტის გაზეთის სპეციალური ნომერი. გაზეთის მოწინავე სტატიაში ნათქვამია, რომ უნივერსიტეტის სტუდენტები მოხარული არიან ნ. ს. ხრუშჩოვის მოსვლის გამო. „თქვენი პირველი ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბ-ნო ხრუშჩოვ, — ნათქვამია სტატიაში, — მშვიდობის იმედს გვაძლევს“.

ნ. ს. ხრუშჩოვს გულთბილად მიესალმა უნივერსიტეტის პრეზიდენტი ჯეიმს ჰილტონი. ურთიერთ მისალმების შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა ინახულა მეოჯახეობის ფაკულტეტი და დაესწრო ერთ-ერთი ჯგუფის მეცადინეობას. აგრეთვე გაეცნო ფაკულტეტის ლაბორატორიას.

მეოჯახეობის ფაკულტეტის დათვალიერება დამთავრდა. ნ. ს. ხრუშჩოვი საბჭოთა დელეგაციის წევრების თანხლებით შენობიდან გადის, და კვლავ გაისმის მისალმების შეძახილები და სტუდენტთა ტაში, რომლებმაც დაიკავეს მეოჯახეობის ფაკულტეტის შენობის ყველა მისადგომი. ნ. ს. ხრუშჩოვი შეჩერდა, გაიღიმა და მისალმების ნიშნად ხელი დაუქნია სტუდენტებს, რამაც ახალი ტაში და მისასალმებელი შეძახილები გამოიწვია.

უნივერსიტეტის ქალაქში ამერიკელ ახალგაზრდობასთან ამ გულითადი შეხვედრის შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა ინახულა აგრეთვე უნივერსიტეტის ექსპერიმენტული ცენტრი, სადაც წარმოებს ღორების გამოკვების ყველაზე ეფექტიანი მეთოდების შესწავლა.

შემდეგ საბჭოთა სტუმრები ქალაქ დე-მოინში დაბრუნდნენ.

დე-მოინი, 23 სექტემბერი. **(საკდესის სპეც. კორ.).** დღეს საღამოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა დატოვა აიოვას სტუმართმოყვარე შტატი და გაფრინდა ამერიკის შეერთებული შტატების დიდ სამრეწველო ცენტრ პიტსბურგში.

აეროდრომზე ნ. ს. ხრუშჩოვი გააცილეს აიოვას შტატის გუბერნატორმა ჰ. ლოვლესმა, ქალაქ დე-მოინის საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარემ ფ. დე პიუიემ და სხვა ოფიციალურმა პირებმა. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გასაცილებლად მოვიდა ქალაქის ასობით მცხოვრები. გამგზავრების წინ ნ. ს. ხრუშჩოვმა მადლობა გადაუხადა აიოვას შტატის გუბერნატორს, ქალაქ დე-მოინის მერს, აგრეთვე ამ ქალაქისა და აიოვას შტატის მცხოვრებთ გულთბილი სტუმართმოყვარეობისათვის. მან საუკეთესო სურვილები გადასცა დე-მოინისა და აიოვას შტატის მცხოვრებთ.

პირველი გაგანოვეღები

დიადი მოძრაობის სტრიქონები



სათავეში ია აგრონომი

ქედის რაიონის სოფლის მეურნეობის ინსპექციის ერთწლიანი კულტურების უფროსმა აგრონომმა მამია სირაბიძემ ერთხელ კიდევ გულდასმით წაიკითხა ცნობა ვალენტინა გაგანოვას პატრიოტული საქციელის შესახებ და პარტიის რაიონულ კომიტეტს მიმართა თხოვნით გაეგზავნათ სამუშაოდ იქ, სადაც მეტი სიძნელეა, სადაც ყველაზე მეტად არის საჭირო სპეციალისტ აგრონომის ცოდნა, უნარი და გამოცდილება. მშობლიური სოფლის კვაშტის კოლმეურნეობის მშრომელებმა თავიანთი თანასოფელი ერთსულოვნად აირჩიეს თავმჯდომარედ.

სწორად თქვეს კოლმეურნეებმა მ. სირაბიძის შესახებ, რომ მას არ აკლია ცოდნა და გამოცდილება. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი წლების მანძილზე მუშაობდა ზვარის უბნის, ხოლო შემდეგ სოფლის მეურნეობის ინსპექციის უფროს აგრონომად. და ყველგან, სადაც კი მისული, საქმიანი და ენერგიული მუშაკის შთაბეჭდილება დაუტოვებია.

ძირფასი თვისებები ამხ. სირაბიძეს ყველაზე მეტად გამოადგა კოლმეურნეობაში. მიუხედავად გასულ წელს მოპოვებული ერთგვარი წარმატებებისა კვაშტში წელს სახარბიელო მდგომარეობა როდი იყო. ყველაზე მეტად ბერძნობდა შრომის ორგანიზაციის მოშლა, დისციპლინის შესუსტება და ცალკეული სასოფლო - სამეურნეო კულტურების მოვლის აგროწესების უხეშად დარღვევა. მაგალითად, კოლმეურნეობაში ჩაიშალა ვენახის საგაზაფხულო მუშაობა. ვარდო და მამუდ გათენაძეებმა, კაკაე გორგილაძემ, ასევე კონცელიძემ, ნაზიკო დოლიძემ. მინერ სირაბიძემ და სხვებმა ვენახები გადაუბარავი დატოვეს.

ახალმა თავმჯდომარემ ადვილად აუღო ალღო ამ ნაკლოვანებებს და მდგომარეობის გამოსასწორებლად აქტივთან ერთად კონკრეტული ღონისძიებები დასახა. ახლა მთელი ძალები ამ ღონისძიებათა განსახორციელებლად არის მობილიზებული. მიუხედავად ცალკეულ ზარმაც კოლმეურნეთა უმოქმედობისა, კვაშტში ახლა დიდი შრომითი აღმავლობაა. ახალგაზრდა ვენახები გაიწმინდა და აგროწესების დაცვით დამუშავდა, ჩქარი ტემპით იღებენ თამბაქოს მოსავალს, საშრობებში შემოღებულ იქნა გასახმობად მატანილი თამბაქოს ფოთლის ზუსტი აღრიცხვა, ამზადებენ პირუტყვის საკვებს.

ახალგაზრდა თავმჯდომარის პირველი ნაბიჯები სწორია. ხედავენ ამას კოლმეურნეები და ამიტომაც ასე ხალისით მიჰყვებიან თავიანთ ხელმძღვანელს ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში.

კ. დოლიძე,
ქედის რაიონული გაზეთის „კოლმეურნის ხმის“ რედაქტორი.

...რომ ქვეყნად ქრიოდეს მოვიდოგის ქარი!

ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტი — მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში



ხალხთა ძმობისთვის ჩაყარა თესლი, ნაყოფს მოისხამს, ვერ ავნებს გესლი;
სადაც კი მიდის, თესავს მშვიდობას; ებრძვის მსოფლიოს უამინდობას.

ნახ. გ. ლომაძისა.

სასიცოცხლო მნიშვნელობის პროგლემა

ნიუ-იორკი, 23 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ საუზმეზე, რომელიც მოიწყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არსებულმა კორესპონდენტთა ასოციაციამ, სიტყვა წარმოთქვა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰერტერმა. თავის გამოსვლაში მან მთავარი ყურადღება დაუთმო სობჭოთა მთავრობის წინადადებას საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ.

ბ-ნ ხრუშჩოვის სიტყვა, განაცხადა ჰერტერმა, რომელშიც მან წამოაყენა პროგრამა სრული განიარაღებისა იმ ძალების დონემდე, რომლებიც საჭიროა სანინაო უშიშროების უზრუნველყოფისათვის, მოითხოვს განსაკუთრებული ყურადღებით და დაწვრილებით შესწავლას. იგი ეხება საკითხს, რომელიც ჩვენ ყველას ჰკრავს ელექტრონულ ალარმს. ეს არის საკითხი, რომელსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც ძლიერ შეიარაღებული და მეტად მძლავრი არიან, არამედ აგრეთვე ყველა პატარა ქვეყნისათვის, რომლებისთვისაც შეიარაღება წარმოადგენს არა მარტო იმ საფრთხეს, რომ მათ ჩაბამენ საერთო მსოფლიო ომში, მათი ნების წინააღმდეგ, არამედ აგრეთვე სახსრების ფლანგვას, რის ნებასაც კაცობრიობა ვერ მისცემს თავის თავს“ იმ მომენტში, როცა სახსრები ესოდენ საჭიროა მეტი წილი ქვეყნებისა და ხალხების ცხოვრების დონის ამაღლებისათვის.

შემდეგ ჰერტერმა აღნიშნა, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა ასახავს ფართოდ გავრცელებულ რწმენას, რომ ამის განხორციელება რომ შეიძლებოდეს და ამასთან სიმედოდ, განიარაღების ის ტიპი, რომელზეც ბ-ნი ხრუშჩოვი ლაპარაკობდა, უაღრესად სასურველია კაცობრიობისათვის, ამ თვალსაზრისით მას მეტად სერიოზულად უნდა მივუდგეთ.

მთავარი ლოდი შებრკოლებისა ისეთი მასშტაბის განიარაღების ყოველი გეგმისათვის, როგორიც არის ბ-ნ ხრუშჩოვის გეგმა, განაგრძო ჰერტერმა, არის კონტროლის საკითხი. რამდენადაც მე ახლოს ვიყავი თათბირებთან, რომლებზეც ირჩეოდა მეორეხარისხოვანი საკითხებიც კი, — მეორეხარისხოვანს მე მათ ვუწოდებ ამასთან შედარებით — ისეთები, როგორიც არის ატომგუელის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხი, მე ვხედავდი, რომ კონტროლი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელიც ძლიერ აძნელებს შეთანხმების სწრაფად მიღწევას. საჭირო თუ არა ჩვენ საერთაშორისო პოლიციური ჯარების რაიმე ფორმის, რომლებიც საკმაოდ ძლიერი იქნებიან და დაემორჩილებიან კონტროლსდაქვემდებარებულ ხელმძღვანელობას, რომლის შესახებ მიღწეული იქნებოდა შეთანხმება მთელი მსოფლიოს ქვეყნებს შორის, და რომლებიც საკმაოდ ეფექტიანი იქნება მთელი მსოფლიოს მშვიდობის დაცვის საქმეში?

ეი საკითხები, რომლებსაც, ჩემი შეხედულებით, არ შეიძლება სკეპტიკურად მოვეპყრათ ან არასერიოზულად მივუდგეთ. მე რამდენადმე მაღიზიანებდნენ ისინი ვინც, პირდაპირ ხელი ჩაიქნია ბ-ნ ხრუშჩოვის წინადადებებზე, როგორიც პროპაგანდაზე. ზოგიერთი დეტალის მხრივ ამ წინადადებებს შეიძლება სკეპტიკურად მოვეკიდოთ; მაგრამ ისინი ფარმოადგენენ კაცობრიობის ცდას მიაღწიოს შეთანხმებას ერთ-ერთი მთავარი პრობლემის მიმართ მაინც, რომელიც მთელი მსოფლიოს წინაშეა დასახული,— პრობლემის მიმართ, რომელიც საფრთხეს უქმნის მთელ მსოფლიოს.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის კ. ჰერტერის გაკოცლა

ზედმიწევნით იქნას შესწავლილი ეს კონტროლის საკითხი.

მეორე საკითხი, რომელიც მეტად გულდასმით უნდა განვიხილოთ, — ეს არის საკითხი, რომელიც სრულებით არ ყოფილა მოხსენებული ამ სიტყვაში: იგი შემდეგით გამოიხატება. წარმოვიდგინოთ, რომ ყველა ქვეყანაში შეიძლება მივაღწიოთ იმ მდგომარეობას, რომელზეც იგი ლაპარაკობდა, სახელდობრ, რომ ყველას ჰქონდეს შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ისეთი დონე, როგორიც საჭიროა საშინაო უშიშროების უზრუნველყოფისათვის; მაგრამ რა ძალა შეგვიძლია, გარდა მორალურისა, გამოვიყენოთ იმისათვის, რომ დავიცვათ მშვიდობა ერებს შორის, რომლებიც, მიუხედავად განიარაღებისა, მაინც მოისურვებენ დაიწყონ ომი სხვების წინააღმდეგ, დაუთუნდაც მარტო დანებით? შევქმნით თუ არა ჩვენ საერთაშორისო პოლიციური ჯარების რაიმე ფორმას, რომლებიც საკმაოდ ძლიერი იქნებიან და დაემორჩილებიან კონტროლსდაქვემდებარებულ ხელმძღვანელობას, რომლის შესახებ მიღწეული იქნებოდა შეთანხმება მთელი მსოფლიოს ქვეყნებს შორის, და რომლებიც მთელი მსოფლიოს მშვიდობის დაცვის საქმეში?

ეი საკითხები, რომლებსაც, ჩემი შეხედულებით, არ შეიძლება სკეპტიკურად მოვეპყრათ ან არასერიოზულად მივუდგეთ. მე რამდენადმე მაღიზიანებდნენ ისინი ვინც, პირდაპირ ხელი ჩაიქნია ბ-ნ ხრუშჩოვის წინადადებებზე, როგორიც პროპაგანდაზე. ზოგიერთი დეტალის მხრივ ამ წინადადებებს შეიძლება სკეპტიკურად მოვეკიდოთ; მაგრამ ისინი ფარმოადგენენ კაცობრიობის ცდას მიაღწიოს შეთანხმებას ერთ-ერთი მთავარი პრობლემის მიმართ მაინც, რომელიც მთელი მსოფლიოს წინაშეა დასახული,— პრობლემის მიმართ, რომელიც საფრთხეს უქმნის მთელ მსოფლიოს.

ყველას თვალწინ, ყველას გასაგარად...

პირველი გაგანოველი არა მარტო კოლმეურნეობაში, მთელ რაიონში...

ასე იცნობენ ახლა წულუკიძის რაიონში სოფელ წინეი ვარსკვლავის კოლმეურნეობის ბრიგადირს მიხეილ ჩირგაძეს. როგორც კომუნისტმა და მოწინავე ბრიგადირმა, მან ითავა პირველი ბრიგადიდან სამუშაოდ გადასულიყო წლობით ჩამორჩენილ მეორე ბრიგადაში.

თუმცა პირველსაც და მეორე ბრიგადასაც ერთნაირი ჩაის პლანტაციები, ერთნაირი საყანეები, მუშაობის თანაბარი პირობები ჰქონდათ, მეორე ბრიგადა კუდში მისჩაჩნალებდა პირველს, კოლმეურნეობის ყველა ბრიგადას. ვერ იქნა და ვერა, მის წინ წაწევას არა ეშველა რა.

და, აი, მეორე ბრიგადას სათაეში ჩაუდგა საკოლმეურნეო წარმოების ნიჭიერი ორგანიზატორი მ. ჩირგაძე, გადაეჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ მოკლე დროში, ყველას თვალწინ და ყველას გასახარად, ბრიგადა წელში გაიმართა, ჩამორჩენა დაძლია, ყველაზე მოწინავე გახდა კოლმეურნეობაში.

საქმეში ჩახედულმა ბრიგადირმა უყურადღებოდ როდი დატოვა ის ფაქტი, რომ ჩვენობაშვიან ქალებს უჭირდათ ჩაის პლანტაციებში საშუშაოდ გამოსვლა. თუმცა კოლმეურნეობაში არის საბავშვო ბაგა, მაგრამ სიშორის გამო იგი მიუწვდომელი აღმოჩნდა პირველი და მეორე ბრიგადის კოლმეურნე ქალებისათვის, მ. ჩირგაძემ საკითხი გამგეობის სხდომაზე დააყენა და მხარდაჭერაც ჰპოვა. მალე გაიხსნა მეორე სეზონური ბაგა ორივე ბრიგადისათვის ხელმისაწვდომ ადგილზე. ამ დროიდან ბრიგადაში მუშახელის გამოსვლამ იმატა. მეორე ბრიგადის წევრები — ჩვილბავშვიანი ქალები ნაზიკო ჩაკვეტაძე, ქსენია დარსაველია, ოგოცაა ჯიბუხაია და სხვები, რომლებიც წინათ სამუშაოდ არ გამოდიოდნენ, იკლიდან გვერდში ამოუდგნენ მოწინავე ბრიგადის და გადამეტებით ასრულებდნენ ჩაის კრეფის დღიურ ნორმებს.

ბრიგადის ზოგიერთი წევრი თავს არიდებდა საკოლმეურნეო შრომას, ზოგიერთები კი „ახალ მთვარესავით“ თუ გამოჩნდებოდნენ მინდვრებსა და პლანტაციებში. ახალი ბრიგადირი სკმიანად მოეთათბირა ასეთ ადამიანებს და სულ მალე გაიყოლია ისინი. შრომისუნარიან კოლმეურნე ქალებს იუღია ბალავაძეს, თამარ ფულაიას და ნელი სულუხიანიკელისში 50-100 კილოგრამი ჩაის ფოთოლი ჰქონდათ მოკრეფილი, ავგისტოში კი თვითეულმა 250-300 კილოგრამი მოკრიფა.

კარგი ორგანიზატორის ხელი დაეტყო ჩაის პლანტაციებს, სამინდოს „ენაბს... გვალვის პერიოდში ორჯერ მორწყეს 12 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, მორწყეს და მოშლამეს სამინდოს ყანების ერთი ნაწილი.

ბრიგადირის უნარმა გადაწყვიტა წარმატების ბედი. მეორე ბრიგადამ მთელ კოლმეურნეობაში ყველაზე უწინ, 29 აგვისტოსათვის შეასრულა ხარისხოვანი ჩაის კრეფის წლიური დავალება— 17.000 კილოგრამის ნაცვლად 17.200 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა! ბრიგადის მეჩაიეებმა იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით მისცენ სამშობლოს ხუთი ტონა ნედლეული, ხოლო სამინდის მომყვანთა ვალდებულებაა 17 ცენტნერის ნაცვლად თვითეულ ჰექტარზე 24 ცენტნერი სამინდი მიიღონ.

ასე გამრავლდა წარმატებები გაგანოველი ბრიგადირის მიხეილ ჩირგაძის ხელში. წინათ ჩამორჩენილი ბრიგადა ახლა მარტოოდენ გეგმების შესრულებას არ სჯერდება და იმისათვის იბრძვის, რომ ნაკისრი ვალდებულების სასახელოდ შესრულებით შეხვდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმს.

შ. ჯაკაბაძე,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

ლაპარაკობენ შეკრების მონაწილეები

სიძნელეები გადალახულია

ქუთაისის აბრეშუმკომბინატის მრავალათასიან კოლექტივში პირველმა მიბაძე ვალენტინა გაგანოვას გმირულ მაგალითს, მოწინავე ბრიგადიდან სამუშაოდ ჩამორჩენილში გადავიდა.

მართალია, ახალ ბრიგადაში ბევრი სიძნელე შემხვდა, მაგრამ ადამიანებთან ყოველდღიურმა მუშაობამ, იმის მტკიცე რწმენამ, რომ ჩამორჩენა დაძლეული იქნებოდა, კარგი შედეგი გამოიღო. უკვე ერთ თვეში ალარ გვყავდა არც ერთი ჩამორჩენილი მქსოველი. სახურველ მაჩვენებელს — 100 პროცენტს ივლისშივე მივაღწიეთ. აგვისტოს დავალება 103,9 პროცენტით შევასრულეთ, ხოლო სექტემბრის ორი დეკადისა 105 პროცენტით გავაჭაღდეთ.

და აი ახლა მეც და ბრიგადის თვითეული წევრი შრომის დიდ სიხარულს განვიცდით. ყოფილმა ჩამორჩენილმა ჩვენმა ბრიგადამ, რომელმაც წლის პირველ ნახევარში 8.239 მეტრი აბრეშუმის ქსოვილი დაკლო სამშობლოს, წლის მეორე ნახევარი დიდი აღმავლობით დაიწყო და უკანასკნელ სამ თვეში 5.300 მეტრი ზეგეგმით ქსოვილი გამოუშვა. სახიხარულოა ის, რომ წინათ ჩამორჩენილი მქსოველები მარია იაკოვენკო, ლენა ჯანელიძე, თამარ ორველაშვილი გამომუშავების ნორმებს 110-120 პროცენტით ანაღდებენ.

ბ. ოქრუაშვილი,
ქუთაისის აბრეშუმკომბინატის № 2 საქსოვი საამქროს მესამე ბრიგადის ხელმძღვანელი.

პირველი შედეგები

მარგანეცის ქალაქში სულ უფრო თვალნათლივ ჩანს გაგანოველთა შრომითი წარმატებები. სამასი სახელოვანი მადაროელი, რომლებიც ამას წინათ ჩამორჩენილ მაღარო „ახალ ითხვისში“ გადავიდა, წარმატებით ასრულებს მარგანეცის გამოღების დავალებას.

სექტემბრის მეორე ნახევრიდან მაღაროს კოლექტივმა დაიწყო გეგმების გადაჭარბებით შესრულება. მარტო გუშინ მარგანეცის ამოღების დავალება 102 პროცენტით შესრულდა. ეს შედეგი აგვისტოს საშუალო სადღეღამისო ამოღებას 185 ტონით აღემატება.

ასეთია გაგანოველთა მუშაობის პირველი შედეგები ჩამორჩენილი მაღაროს დაწინაურებისათვის ბრძოლაში.

ბ. ბაქრაძე,
მაღარო „ახალი ითხვისის“ მბურღავი,
გაგანოველთა რესპუბლიკური შეკრების მონაწილე.

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის ბრიგადირები ა. ტანიაშვილი და ვ. სემიბრატოვი ვ. გაგანოვას მაგალითისამებრ სამუშაოდ გადავიდნენ ჩამორჩენილ ბრიგადებში. ახლა ეს კოლექტივები მოწინავეთა რიგებში დგანან.

სურათზე: ა. ტანიაშვილი (მარცხნივ) და ვ. სემიბრატოვი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ამერიკელი ფერმერი „ნიუ-იორკ ტაიმსისადმი“

ნიუ-იორკი, 22 სექტემბერი. (საკდესი). „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ გამოაქვეყნა ნიუ-იორკის შტატის ტერიტორიის მცხოვრების გ. კარნსერის შემდეგი წერილი:

„ნ. ს. ხრუშჩოვის ბრესის კლუბში გამოსვლასთან დაკავშირებით, რომელიც ტელევიზიით გადაიცა, მაწუხებს პოზიცია, რომელიც დიკაკვეს რეპორტიორებმა სტუმრის — მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფოს მეთაურის მიმართ, კომუნიზმი ახლა კონტროლს უწევს დედამიწის მოსახლეობის მესამედს. კომუნიზმი კვლავაც იარსებებს, მიუხედავად იმისა, მოგვწონს ეს თუ არა. ჩვენ ან უნდა შევეგუოთ კომუნისტებს, ან მთელი სიცოცხლე დედამიწაზე შეიძლება მოისპოს.

ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ ხრუშჩოვმა მაქსიმალური გულითადობა გამოიჩინა და თავის სიტყვაში მტრული არაფერი უთქვამს. ყოველ შემთხვევაში მისი მოქმედება ადასტურებდა მის სიტყვებს, რომ იგი აქ ჩამოვიდა, რათა ხელი შეუწყოს უფრო მეგობრული ატმოსფეროს შექმნას ჩვენს სახელმწიფოებსა და ჩვენს ხალხებს შორის. ეს საღი პოზიციაა.

კითხვები, რომლებიც მას პრესის კლუბში მისცეს, ეხებოდა გაცვეთილ პრობლემებს, რომლებიც რახანია განხილულია. მაშასადამე, ეს კითხვები მისცეს არა იმიტომ, რომ მიეღოთ ინფორმაცია, არამედ იმიტომ, რომ ხელი ეცრათ სტუმრისათვის, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მოვიწვიეთ.

განა ეს ხელს უწყობს საერთაშორისო ურთიერთობას? განა ასე მიიღეს რუსეთში ჩვენი ვიცე-პრეზიდენტი ნიქსონი?“

ჩვენ ტაშს ვუკრავთ ხრუშჩოვს

ნიუ-იორკი, 23 სექტემბერი (საკდესი). ამერიკის ტელევიზია ყოველდღე გადასცემს სპეციალურ პროგრამებს, მიძღვნილს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის ყოფნისადმი ამერიკის შეერთებულ შტატებში. ერთ-ერთი თავისი გადაცემის დროს დიდმა სატელევიზიო კომპანიამ „ნეიშნლ ბროდკასტინგ კომპანიამ“ მოაწყო მრავალი ამერიკელის გამოკითხვა, რომლებიც შეიკრებნენ, რათა მისალმებოდნენ საპატიო საბჭოთა სტუმარს, ოტელ „მარკ ჰოპკინსთან“, რომელშიც ნ. ს. ხრუშჩოვი გაჩერდა ქალაქ სან-ფრანცისკოში ყოფნის დროს. ყველას მისცეს ერთი და იგივე კითხვა: რატომ უკრავდით ტაშს ნ. ს. ხრუშჩოვს?

პირველმავე გამოკითხულმა, 25 წლის ახალგაზრდამ უპასუხა, რომ ხრუშჩოვს ტაშს უკრავდა იმიტომ, რომ მას როგორც ყველას, სურს მშვიდობა. კომპანიის კორესპონდენტმა კიდევ რამდენიმე კაცს განუმეორა თავისი კითხვა. პასუხი იყო ერთი და იგივე: ჩვენ მივესალმებით საბჭოთა მთავრობის მეთაურს იმიტომ, რომ გვსურს მშვიდობა დედამიწაზე. მარტო ერთმა გამოკითხულმა განაცხადა, რომ მას არ დაუკრავს ტაში ხრუშჩოვისათვის. ხოლო როცა რიგი მიდგა სან-ფრანცისკოს ხნიერ მცხოვრებზე, მან უპასუხა: „მე იმიტომ ვუკრავდი ტაშს ნ. ს. ხრუშჩოვს, რომ იგი მსოფლიოში ყველაზე გამოჩენილი მებრძოლია მშრომელი ხალხის საქმისათვის“.

ამით დაამთავრა კორესპონდენტმა გამოკითხვა.

ფრანგი ქალების წერილი

პარიზი, 22 სექტემბერი. (საკდესი). საფრანგეთის ქალებს მხურვალედ სურთ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვსა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს დ. ეიზენჰაუერს შორის შეხვედრებს მოჰყვეს საერთაშორისო დაძაბულობის შენელება და მშვიდობის განმტკიცება. ეს, ნათქვამია წერილში, რომელიც საფრანგეთის ქალთა კავშირის ეროვნულმა საბჭომ გაუგზავნა საბჭოთა მთავრობის მეთაურს ნ. ს. ხრუშჩოვსა და პრეზიდენტ ეიზენჰაუერს. ჩვენ მხურვალედ გვსურს, აცხადებენ ფრანგი ქალები თავიანთ წერილში, რომ საერთაშორისო ურთიერთობის ცვლილებას მოჰყვეს ატომური იარაღის გამოცდის საბოლოო შეწყვეტა, ეფექტიანი განიარაღების დაწყება და დაისახოს მტკიცე და მყარი მშვიდობის გზა. ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ ამის მისაღწევად.

ჩერჩილის განცხადება

ლონდონი, 24 სექტემბერი. (საკდესი). წინასაარჩევნო სიტყვა რომ წარმოთქვა თავის საარჩევნო ოლქში, დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი შეეხო საბჭოთა კავშირის უკანასკნელ წინადადებებს განიარაღების შესახებ და უმაღლეს დონეზე თათბირის მოწვევის პერსპექტივებს.

„მე ასეთი თათბირი სასურველად მიმაჩნია“, — განაცხადა ჩერჩილმა. „დამოუკიდებლად იმისა, გამოიწვევს თუ არა ეგი კონკრეტულ შეთანხმებებს, — დასძინა ჩერჩილმა, — მშვიდობის შანსი შეიძლება მხოლოდ გაძლიერდეს ხელმძღვანელთა შეხვედრის შედეგად. მსოფლიოს ქვეყნების ხელმძღვანელებისათვის ძლიერ კარგია ერთმანეთს შეხვდნენ, როგორც ეს ახლა ხდება“.

ჩერჩილმა მოწონებით მოიხსენია საბჭოთა მთავრობის წინადადებანი განიარაღების შესახებ და მათ „განსაცვიფრებელი“ უწოდა.

ამერიკელი ფერმერი

ლონდონი, 23 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ მანჩესტერში წინასაარჩევნო სიტყვა წარმოთქვა პრემიერ-მინისტრმა მაკმილანმა.

მაკმილანმა გააკრიტიკა ლეიბორისტული პარტიის წინასაარჩევნო პროგრამა, რომელიც მისი სიტყვით, ვერ შეასრულებს თავის დაპირებებს, ქება შესახა რა მთავრობის პოლიტიკას, მან განაცხადა, რომ, თუ კონსერვატიული პარტია ხელისუფლების სათავეში დარჩა, კონსერვატორები განაგრძობენ საერთო ეკონომიური პოლიტიკას, რომელსაც წარსულში ახორციელებდნენ. მაკმილანმა სცადა გაეამართლებინა ინგლისის მთავრობის მოქმედება 1956 წლის შემოდგომაზე სუეცის ავანტიურის დროს. „მე წინანდებურად მიმაჩნია, — განაცხადა მან, — რომ ჩვენი მოქმედება გამართლდა“.

შეეხო რა განიარაღების პრობლემას, მაკმილანმა გამოთქვა აზრი, რომ ყოველსმომცველი შეთანხმება ატომგუელის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ შესაძლებელია და თითქმის მიღწეულია.

პრემიერ-მინისტრ მაკმილანის გამოსვლა

ლონდონი, 23 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ მანჩესტერში წინასაარჩევნო სიტყვა წარმოთქვა პრემიერ-მინისტრმა მაკმილანმა.

მაკმილანმა გააკრიტიკა ლეიბორისტული პარტიის წინასაარჩევნო პროგრამა, რომელიც მისი სიტყვით, ვერ შეასრულებს თავის დაპირებებს, ქება შესახა რა მთავრობის პოლიტიკას, მან განაცხადა, რომ, თუ კონსერვატიული პარტია ხელისუფლების სათავეში დარჩა, კონსერვატორები განაგრძობენ საერთო ეკონომიურ პოლიტიკას, რომელსაც წარსულში ახორციელებდნენ. მაკმილანმა სცადა გაეამართლებინა ინგლისის მთავრობის მოქმედება 1956 წლის შემოდგომაზე სუეცის ავანტიურის დროს. „მე წინანდებურად მიმაჩნია, — განაცხადა მან, — რომ ჩვენი მოქმედება გამართლდა“.

შეეხო რა განიარაღების პრობლემას, მაკმილანმა გამოთქვა აზრი, რომ ყოველსმომცველი შეთანხმება ატომგუელის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ შესაძლებელია და თითქმის მიღწეულია.

ქურნალისტების ხმა

პრაღა, 24 სექტემბერი. (საკდესი). ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდიუმმა და გენერალურმა სამდივნომ ამ ორგანიზაციის 70 ათასი წევრის სახელით დაგმო ის კორესპონდენტები და რედაქტორები, რომელნიც ცივი ომის გამოუსწორებელ მომხრეთა საამებლად უხეშად თელავენ პროფესიულ და მოქალაქეობრივ ღირსებას და განაგრძობენ საზოგადოებრივი აზრის დეზინფორმაციას.

ჩვენ ვიზიარებთ ამ დღეებში ბევრი ქვეყნის ჟურნალისტების მიერ გამოთქმულ სურვილს, რომ მთელი მსოფლიოს ყველაზე ავტორიტეტული ჩვენი კოლეგები შეხვდნენ ერთმანეთს მრგვალ მაგიდასთან და განიხილონ საკითხები, რომლებიც აინტერესებს მსოფლიოს ჟურნალისტთა ოჯახის ყველა წევრს. ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის დამყარება, ჟურნალისტებს შორის, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ ხალხთა ურთიერთგაგებასა და მშვიდობიან თანაარსებობას, განსაკუთრებით საჭიროა ახლა, როცა ხელსაყრელი პირობები შეიქმნა იმისათვის, რომ ძირეული გარდატეხა მოხდეს და გაუმჯობესდეს საერთაშორისო ურთიერთობა“.

საამებლად განაგრძობენ საზოგადოებრივი აზრის დეზინფორმაციას.

როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა საგენტო იუწყება, ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდიუმმა და გენერალურმა სამდივნომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პრეს-ჯგუფისა და ამერიკის საგაზეთო გილდიის პრეზიდენტის ჯოზეფ კოლესის სახელზე გაგზავნეს დეპეშა, რომელშიც მხურვალედ მიესალმებიან საბჭოთა, ამერიკელ და სხვა კოლეგებს, რომლებიც ცდილობენ ფართოდ და სწორად გააშუქონ პრესაში ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში და ამით ხელი შეუწყონ საერთაშორისო დაძაბულობის ლიკვიდაციას.

„ამავე დროს — ნათქვამია შემდეგ დეპეშაში, — ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის 70.000 წევრი ერთსულოვნად გმობს იმ კორესპონდენტებსა და რედაქტორებს, რომელნიც ცივი ომის გამოუსწორებელ მომხრეთა საამებლად უხეშად თელავენ პროფესიულ და მოქალაქეობრივ ღირსებას და განაგრძობენ საზოგადოებრივი აზრის დეზინფორმაციას.

„ჩემი თვალსაზრისით, — თქვა პრემიერ-მინისტრმა, — სიგიჟე იქნებოდა უარის თქმა“ შეთანხმებაზე.

მაკმილანმა იმედი გამოთქვა, რომ განიარაღების საერთაშორისო კომიტეტის საქმიანობა „ნაყოფიერი“ იქნება. „ჩვენ, რა თქმა უნდა, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა, — ყველაფერს გავაკეთებთ; რაც შესაძლებელია, რათა უზრუნველვყოთ ეს“.

მაკმილანმა მოუწოდა განამტკიცონ ნატო და დასავლეთის სახელმწიფოების სხვა სამხედრო ბლოკები.

მაქსიმალური გულითადობა

ამერიკელის წერილი „ნიუ-იორკ ტაიმსისადმი“

ნიუ-იორკი, 22 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ გამოაქვეყნა ნიუ-იორკის შტატის ტერიტორიის მცხოვრების გ. კარნსერის შემდეგი წერილი:

„ნ. ს. ხრუშჩოვის ბრესის კლუბში გამოსვლასთან დაკავშირებით, რომელიც ტელევიზიით გადაიცა, მაწუხებს პოზიცია, რომელიც დიკაკვეს რეპორტიორებმა სტუმრის — მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფოს მეთაურის მიმართ, კომუნიზმი ახლა კონტროლს უწევს დედამიწის მოსახლეობის მესამედს. კომუნიზმი კვლავაც იარსებებს, მიუხედავად იმისა, მოგვწონს ეს თუ არა. ჩვენ ან უნდა შევეგუოთ კომუნისტებს, ან მთელი სიცოცხლე დედამიწაზე შეიძლება მოისპოს.

ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ ხრუშჩოვმა მაქსიმალური გულითადობა გამოიჩინა და თავის სიტყვაში მტრული არაფერი უთქვამს. ყოველ შემთხვევაში მისი მოქმედება ადასტურებდა მის სიტყვებს, რომ იგი აქ ჩამოვიდა, რათა ხელი შეუწყოს უფრო მეგობრული ატმოსფეროს შექმნას ჩვენს სახელმწიფოებსა და ჩვენს ხალხებს შორის. ეს საღი პოზიციაა.

კითხვები, რომლებიც მას პრესის კლუბში მისცეს, ეხებოდა გაცვეთილ პრობლემებს, რომლებიც რახანია განხილულია. მაშასადამე, ეს კითხვები მისცეს არა იმიტომ, რომ მიეღოთ ინფორმაცია, არამედ იმიტომ, რომ ხელი ეცრათ სტუმრისათვის, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მოვიწვიეთ.

განა ეს ხელს უწყობს საერთაშორისო ურთიერთობას? განა ასე მიიღეს რუსეთში ჩვენი ვიცე-პრეზიდენტი ნიქსონი?“

ყოველი მხრიდან

ატომის ენერგია—მშვიდობის სამსახურში

ატომის ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს გენერალური კონფერენცია

ვენა, 22 სექტემბერი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს გენერალური კონფერენციის მე-3 სესია. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ 67 ქვეყნის დელეგატები. ისინი განიხილავენ მშვიდობიანი მიზნით ატომური ენერგიის გამოყენების დარგში საერთაშორისო თანამშრომლობის მთელ რიგ საკითხებს. განხილულ იქნება აგრეთვე სააგენტოს მუშაობის პროგრამა 1960 წლისათვის, მოხსენება ატომგულის ენერგიის წარმოებაში სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის დახმარების გაწევის შესახებ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ანგარიში ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს საქმიანობის შესახებ 1958-1959 წლებში და ზოგიერთი სხვა საკითხი.

დღის წესრიგში შეტანილ ბევრ საკითხს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ მომენტში, როცა მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობა იხილავს საყოველთაო განიარაღების საბჭოთა კავშირის, რომელიც ნ. ს. ხრუშჩოვმა წამოაყენა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში. ახალმა იდეებმა, რომლებიც ნ. ს. ხრუშჩოვმა წამოაყენა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში, გამოხატულება პოვა აგრეთვე მეორე მოწვევის გენერალური კონფერენციის თავმჯდომარის დოქტორ სუჩავას (ინდონეზია) გამოსვლასა და საბჭოთა დელეგაციის მეთაურის კ. ვ. ნოვიკოვის გამოსვლაში.

კონფერენცია გახსნა დოქტორმა სუჩავამ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტომ არ უნდა შეზღუდოს თავისი საქმიანობა ტექნიკური და ფინანსური საკითხებით. ამჟამად აღიძრა კონკრეტული საკითხები, მშვიდობიანი მიზნით თუ ომისათვის იქნება გამოყენებული ატომური ენერგია. გამოანგარიშების მიხედვით, შეიარაღებისათვის ყოველდღიურად იხარჯება 6,5 მილიონი დოლარი. მთელი ეს უზარმაზარი სახსრები შეიძლება დაიხარჯოს ადამიანის კეთილდღეობისათვის, თუ შესაძლო გახდება შეთანხმების მიღწევა. ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს საქმიანობისათვის და მთელი კაცობრობისათვის უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა ატომგულის გამოცდის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ხელმოწერას.

პირველ პლენარულ სხდომაზე მოეწყო გენერალური კონფერენციის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები. კონფერენციის თავმჯდომარედ აირჩიეს იაპონიის წარმომადგენელი ფურუჩი, ვიცე-თავმჯდომარეებად საბჭოთა კავშირის, ბულგარეთის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინდოეთის, საბერძნეთის, პაკისტანისა და მექსიკის წარმომადგენლები.

მიუხედავად იმისა, რომ დელეგაციების უმრავლესობა შეთანხმებული იყო კონფერენციის თავმჯდომარის პოსტზე აერჩიათ ცნობილი ბულგარელი მეცნიერი პროფესორი ნაჯაკოვი, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ უკანასკნელ მომენტში წამოაყენა ფურუჩის კანდიდატურა. ამასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა კ. ვ. ნოვიკოვმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ საბჭოთა დელეგაციას დიდად სამწუხაროდ მიაჩნია, რომ გენერალური კონფერენციის მე-3 სესია მუშაობას იწყებს ისეთი მეთოდებით, რომლებსაც იყენებდნენ „ცივი ომის“ გაძლიერების პერიოდში, და რომ ამ მოქმედების ინიციატორია შეერთებული შტატების დელეგაცია.

ვენა, 23 სექტემბერი. (საკდესი). საკდესის კორესპონდენტი ლ. სტეფანოვი იუწყება: დღეს დილით ატომის ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს გენერალურ კონფერენციაზე მოხსენება გააკეთა საერთაშორისო სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა სტერლინგ კოულმა. მან განაცხადა, რომ სააგენტო უკანასკნელ წელს შეუდგა სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევის, საერთაშორისო სააგენტოს წევრებისათვის ნედლეულის მიწოდების, მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის გაჩაღებისა და სააგენტოს ტექნიკური კადრების მომზადების ზოგიერთი ამოცანის შესრულებას. კოულმა მოწონებით მოიხსენია საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების წარმომადგენელთა თანხმობა საერთაშორისო სააგენტო გამოიყენონ როგორც ცენტრი, რომელიც შეაგროვებს არასაიდუმლო ინფორმაციას ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების შესახებ.

ამასთან ერთად ს. კოულის გამოსვლაში იყო ცდა დაესაბუთებინა საერთაშორისო სააგენტოში კონტროლისა და გარანტიების ისეთი სისტემის საჭიროება, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა დასავლეთ სახელმწიფოებს ჩარეულიყვნენ სუსტად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში.

კამათში, რომელიც ს. კოულის მოხსენების შემდეგ დაიწყო, პირველი გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელი. მან შეიტანა რეზოლუციის პროექტი ყველა სახეობის ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ. რეზოლუციის პროექტში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ატომური ენერგიის გამოყენებას საერთაშორისო სააგენტო თავისი წესდების შესაბამისად „უნდა ესწრაფოდეს ატომური ენერგიის უფრო სწრაფ და ფართო გამოყენებას მთელ მსოფლიოში მშვიდობის, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის დაცვისათვის“.

ვ. ელიუტინი და ვ. ემელიანოვი

კალიფორნიის სასწავლო და სამეცნიერო ცენტრებში

სან-ფრანცისკო, 22 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სან-ფრანცისკოში ყოფნის დროს მისმა თანმხლებლებმა ვ. პ. ელიუტინმა და ვ. ს. ემელიანოვმა ინახულეს კალიფორნიის კულტურული ცენტრები და სამეცნიერო დაწესებულებანი და სასწავლებლები.

22 სექტემბრის დღის მეორე ნახევარში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი ვ. პ. ელიუტინი იყო კალიფორნიის უნივერსიტეტში — შეერთებული შტატების ერთ-ერთ უდიდეს სასწავლებელში. უნივერსიტეტსა და მის ფილიალებში სწავლობს 45 ათასი სტუდენტი.

უნივერსიტეტის ფაკულტეტებისა და ლაბორატორიების დაწვრილებით დათვალიერების შემდეგ ვ. პ. ელიუტინს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა უნივერსიტეტის რექტორთან დოქტორ კერთან, რომელმაც სურვილი გამოთქვა გაფართოვდეს სახელმძღვანელო და მეცნიერული შრომების გაცვლა კალიფორნიის უნივერსიტეტსა და მოსკოვის, ლენინგრადისა და კიევის უნივერსიტეტებს შორის. ვ. პ. ელიუტინმა დოქტორი კერი მოიწვია ჩამოვიდეს საბჭოთა კავშირში და პირადად გაეცნოს უმაღლესი სწავლების დაყენებას საბჭოთა კავშირში. დოქტორმა კერმა მხურვალე მადლობა გადაუხადა მოწვევისათვის და განაცხადა, რომ პირველი შეძლებისთანავე მოაწყობს ამ მგზავრობას.

იმავე დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ატომური ენერგიის გამოყენების მთავარი სამმართველოს უფროსი პროფესორი ვ. ს. ემელიანოვი იყო ამერიკის ერთ-ერთ წამყვან სამეცნიერო-საკვლევ ორგანიზაციაში — სტანფორდის ინსტიტუტში, რომელიც აწარმოებს მეცნიერულ კვლევას ფიზიკის, ბიოლოგიის, მედიცინისა და სხვა მეცნიერებათა დარგში. პროფესორ ემელიანოვს შეხვდნენ ინსტიტუტის დირექტორი ფ. კარტერი და ინსტიტუტის მთელი რიგი ხელმძღვანელი სპეციალისტები.

გენიარაღება—ეს არის მთავარი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XIV სესია

ნიუ-იორკი, 24 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ გენერალურ ასამბლეაში განახლდა საერთო პოლიტიკური დისკუსია. დილის სხდომაზე გამოვიდნენ ჩეხოსლოვაკიის, იტალიისა და პანამის დელეგატები.

ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვაცლავ დავიდმა აღნიშნა, რომ გენერალური ასამბლეის წარსულ და მიმდინარე სესიებს შორის მსოფლიოში მოხდა ღირსშესანიშნაი ამბები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის. ყველაზე დიდმნიშვნელოვანი მოვლენა, თქვა დავიდმა, რომელიც უდიდეს კმაყოფილებას იწვევს ყველა ხალხში, არის ის, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი ეწვია შეერთებულ შტატებს და რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ეიზენჰაუერი მიეგზავნება სსრ კავშირში.

ხალხები სულ უფრო მტკიცედ მოითხოვენ, განაგრძო დავიდმა, რომ მსოფლიოს მთელი ღონისძიებანი მოხმარდეს „ცივი ომის“ ლიკვიდაციას და ნაყოფიერი თანამშრომლობის გაფართოებას, ეკონომიკის განვითარებას და ხალხთა ცხოვრების დონის ამაღლებას.

ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრი შემდეგ დაწვრილებით შეეხო განიარაღების პრობლემას, რომლის გადაჭრაზე პირველ რიგში დამოკიდებულია მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნება. დავიდი მიესალმა საბჭოთა კავშირის წინადადებას საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ და თქვა, რომ ამ წინადადებათა მიღება და რეალიზაცია საერთაშორისო ურთიერთობაში პრინციპული მობრუნების მომასწავებელი იქნება.

თავისი სიტყვის დასასრულს ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრი შეეხო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრობლემებს.

მან მოუწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შეუდგეს „ცივი ომის“ ნაშთების ლიკვიდაციას და მთლიანად განავითაროს მშვიდობიანი თანამშრომლობის პრინციპები. პირველი ნაბიჯი ამ გზაზე, განაცხადა დავიდმა უნდა იყოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. მან აგრეთვე მოითხოვა მთავრობათა მეთაურების თათბირის მალე მოწვევა, რომელიც განიხილავს და მიიღებს ღონისძიებებს ახლანდელი საერთაშორისო მდგომარეობის ყველაზე გადაუდებელ საკითხთა შესახებ.

იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯუზეპე პელამ აღნიშნა, რომ ახლანდელი სესია უფრო მშვიდ ატმოსფეროში მიმდინარეობს. თუმცა მან განაცხადა, რომ მთავარი ღონისძიება უნდა განხორციელდეს განიარაღების შესახებ შეთანხმების მისაღწევად, მაგრამ ხუთი პუნქტი, რომლებიც მან წამოაყენა დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციის გადამღერებაა ამ საკითხში.

დღის სხდომაზე გამოვიდნენ იუგოსლავიის, ირლანდიის, იორდანიის, ურუგვაის, გვატემალისა და ბოლივიის დელეგატები.

ჩილის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ბუენოს-აირესი. 23 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ჩილის პრესა იუწყება, ამ დღეებში სანტ-იაგოში გაიმართა ჩილის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა განიხილა ჩილის ეკონომიური მდგომარეობა და დაასახელა კანდიდატები, რომლებსაც კომუნისტური პარტია მხარს დაუჭერს ეროვნული კონგრესისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მომავალ არჩევნებში.

პლენუმმა განიხილა აგრეთვე საკითხი მუშათა მოძრაობისა და ქალაქისა და სოფლის მშრომელთა მდგომარეობის შესახებ.

ძირითადი მოხსენება პლენუმზე გააკეთა ჩილის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ლუის კორვალანმა. მომხსენებელმა დაწვრილებით დაახასიათა ჩილის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობა. დიდი ყურადღება დაუთმო მან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობას ამერიკის შეერთებულ შტატებში. ლუის კორვალანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს მოგზაურობა დიდ როლს შეასრულებს საერთაშორისო ცხოვრებაში.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი რეზოლუციები.

გუნდესვერის რიცხვის ზრდა

ბონი, 24 სექტემბერი. (საკდესი). მიმდინარე წლის დამლევამდე დასავლეთ გერმანიის ბუნდესვერში გაიწვევენ კიდევ 36 ათას კაცს. ეს გამოაცხადა გუშინ ბონის თავდაცვის სამინისტრომ. სამინისტროს მონაცემების თანახმად, ამჟამად ბუნდესვერის რიცხვი შეადგენს 220 ათასს. აქედან 137 ათასი მსახურობს არმიაში, 50 ათასი — სამხედრო-საჰაერო ძალებში, 21 ათასი —სამხედრო-საზღვაო ფლოტში და 12 ათასი კაცი — ტერიტორიული თავდაცვის ჯარებში.

1963 წლისათვის დასავლეთ გერმანიის ბუნდესვერის რიცხვი უნდა შეადგენდეს 350 ათას კაცს.

პროტესტი

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცის დარღვევის წინააღმდეგ

ბერლინი, 23 სექტემბერი (საკდესი). როგორც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო იუწყება, 21 სექტემბრის 22 საათსა და 17 წუთზე გაფრქვეული ეროვნების თვითმფრინავმა დაარღვია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ინგლისური ზონის მხრიდან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცე. თვითმფრინავი განაგრძობდა ფრენას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მისი სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ და 22 საათსა და 37 წუთზე მაგდებურგის რაიონში გაბრუნდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიმართულებით.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო მტკიცე პროტესტს აცხადებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში ამ ახალი პროვოკაციული შემოჭრის წინააღმდეგ და აღნიშნავს, რომ იმათ, ვისაც ბრალი მიუძღვის ინციდენტში, პასუხი უნდა აგონ ყველა მისი შედეგისათვის.

სურათზე: ბუქარესტის ერთ-ერთი მაგისტრალი—მაგირუს სახელობის ბულვარი.

კომუნიკე

ალჟირში საომარი მოქმედების შესახებ

კაირო. 23 სექტემბერი. (საკდესი). დღეს აქ გამოქვეყნდა ალჟირის ეროვნულ - განმათავისუფლებელი არმიის უმაღლესი სარდლობის კომუნიკე საომარი მოქმედების შესახებ ალჟირში.

კომუნიკეში ნათქვამია, რომ 13-დან 16 სექტემბრამდე ბრძოლის მსვლელობაში მოკლულია 188 და დაჭრილია 113 ფრანგი ჯარისკაცი და ოფიცერი, წამოღებულია მოწინააღმდეგის დიდძალი იარაღი, საომარი მასალა და საჭურველი, მოსპობილია საფრანგეთის 10 ჯავშანო.

ალჟირის ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის მხარეზე გადმოვიდა 5 ფრანგი ჯარისკაცი.

ვ. ელიუტინი და ვ. ემელიანოვი

კალიფორნიის სასწავლო და სამეცნიერო ცენტრებში

სან-ფრანცისკო, 22 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სან-ფრანცისკოში ყოფნის დროს მისმა თანმხლებლებმა ვ. პ. ელიუტინმა და ვ. ს. ემელიანოვმა ინახულეს კალიფორნიის კულტურული ცენტრები და სამეცნიერო დაწესებულებანი და სასწავლებლები.

22 სექტემბრის დღის მეორე ნახევარში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი ვ. პ. ელიუტინი იყო კალიფორნიის უნივერსიტეტში — შეერთებული შტატების ერთ-ერთ უდიდეს სასწავლებელში. უნივერსიტეტსა და მის ფილიალებში სწავლობს 45 ათასი სტუდენტი.

უნივერსიტეტის ფაკულტეტებისა და ლაბორატორიების დაწვრილებით დათვალიერების შემდეგ ვ. პ. ელიუტინს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა უნივერსიტეტის რექტორთან დოქტორ კერთან, რომელმაც სურვილი გამოთქვა გაფართოვდეს სახელმძღვანელო და მეცნიერული შრომების გაცვლა კალიფორნიის უნივერსიტეტსა და მოსკოვის, ლენინგრადისა და კიევის უნივერსიტეტებს შორის. ვ. პ. ელიუტინმა დოქტორი კერი მოიწვია ჩამოვიდეს საბჭოთა კავშირში და პირადად გაეცნოს უმაღლესი სწავლების დაყენებას საბჭოთა კავშირში. დოქტორმა კერმა მხურვალე მადლობა გადაუხადა მოწვევისათვის და განაცხადა, რომ პირველი შეძლებისთანავე მოაწყობს ამ მგზავრობას.

იმავე დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ატომური ენერგიის გამოყენების მთავარი სამმართველოს უფროსი პროფესორი ვ. ს. ემელიანოვი იყო ამერიკის ერთ-ერთ წამყვან სამეცნიერო-საკვლევ ორგანიზაციაში — სტანფორდის ინსტიტუტში, რომელიც აწარმოებს მეცნიერულ კვლევას ფიზიკის, ბიოლოგიის, მედიცინისა და სხვა მეცნიერებათა დარგში. პროფესორ ემელიანოვს შეხვდნენ ინსტიტუტის დირექტორი ფ. კარტერი და ინსტიტუტის მთელი რიგი ხელმძღვანელი სპეციალისტები.

გლეიდი, 24 სექტემბერი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი დიდოსტატი ი. ბონდარევსკი იუწყება:

გუშინ ბლეიში მოხდა მე-9 და მე-10 ტურის გადადებული პარტიების გათამაშება. თამაშის განუახლებლად დანებდა ოლაფსონი ბენკოს. საბჭოთა დიდოსტატები სმისლოვი და კერესი ყაიმს დათანხმდნენ.

ფაქტიურად განაგრძეს მხოლოდ ერთი პარტია — ოლაფსონ-გლიგორიჩის პარტია. იგი გადადებული იყო პოზიციური უპირატესობით ისლანდიელი დიდოსტატის მხარეზე, მაგრამ დამთავრების დროს გლეგორიჩმა ზუსტი დაცვით ყაიმს მიაღწია.

ამრიგად 10 ტურის შემდეგ ტურნირის ცხრილის სათავეშია კერესი, რომელმაც 7 ქულა მოაგროვა. შემდეგი ადგილები უკავიათ პეტროსიანსა და ტალს — ექვსექვსი ქულა, გლეგორიჩს — 5,5 ქულა, ბენკოს, სმისლოვს, ფიშერს ოთხ-ოთხი ქულა, ოლაფსონს — 3,5 ქულა.

24 სექტემბერს გაიმართა მორიგი, მე-11 ტური.

პრეტენდენტთა ტურნირი

სპორტული ქრონიკა

◆ 23 სექტემბერს ქალაქ ჩირჩიკში გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშება ძირეული ფიზკულტურული კოლექტივებისათვის. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ხიმიკი“ და საქართველოს „კოლმეურნის“ ფეხბურთელები. გაიმარჯვეს ქართველმა სპორტსმენებმა ანგარიშით 2 : 1.

◆ ხარკოვში ხუთ დღეს მიმდინარეობდა საპლანერო მოდელების შეჯიბრება ევროპის პირველობაზე. კონტინენტის ჩემპიონის წოდება მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა, მეორე ადგილზე გამოვიდნენ რუმინელები, ხოლო მესამეზე ჩეხოსლოვაკი სპორტსმენები. ჩეხი სპორტსმენი გაიეკი კონტინენტის ჩემპიონი გახდა.

◆ მოსკოვში „კრილია სოვეტოვის“ სპორტის სასახლეში დამთავრდა საერთაშორისო შეჯიბრება მაგიდის ჩოგბურთში. პირველი ადგილი ხვდათ ქალთა შორის რუმინელ პიტიკეს, ვაჟებში კი საბჭოთა სპორტსმენს საინორისს. ქალთა წყვილების შეჯიბრებაში პირველ ადგილზე გამოვიდნენ რუმინელები, ხოლო ვაჟთა შორის საბჭოთა სპორტსმენები პაჩკიავიჩუსი და საინორისი.

„ევროპის თასზე“ ფეხბურთში

24 სექტემბერს საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი გაფრინდა ბუდაპეშტს, სადაც კვირას გაიმართება სსრ კავშირისა და უნგრეთის გუნდების მეორე თამაში „ევროპის თასზე“. პირველი მატჩი, რომელიც მოსკოვში გაიმართა ერთი წლის წინათ დამთავრდა ჩვენი ფეხბურთელების გამარჯვებით ანგარიშით 3 : 1.

ახალი საერთაშორისო შეჯიბრება, რომლის შესახებ გადაწყვეტილება ფეხბურთში მსოფლიოს VI პირველობის წინ მიიღო ევროპის ფეხბურთელთა ასოციაციების კავშირმა, მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს. თასისათვის ბრძოლაში ჩაება 17 გუნდი. ზოგმა თამაშმა უკვე ითამაშა მერვედი ფინალის შეხვედრები. იმ შემთხვევაში, თუ სსრ კავშირის ნაკრებმა გაიმარჯვა ბუდაპეშტში, ყაიმით ითამაშა ან თუნდაც წააგო ერთი ბურთის განსხვავებით, იგი გავა მეოთხედ ფინალში და შეხვდება ესპანეთის ფეხბურთელებს. ხოლო თუ შეხვედრის შედეგად უნგრელებს ექნებათ ორი ბურთის უპირატესობა, მეოთხედ ფინალის მონაწილე გამოირკვევა დამატებითს მატჩში.

მოსკოვში 27 სექტემბერს ერთმანეთს შეხვდებიან სსრ კავშირისა და უნგრეთის მეორე ნაკრები გუნდები. (საკდესი).

„ყვავილი თოვლზე“

კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მუშაკები ბევრ ახალ საინტერესო ფილმზე მუშაობენ. ახლა იშვიათი როდია თბილისის ქუჩაში დადგმული კინოკამერა და გამანათებელი აპარატურა, უცნაურად მორთული მსახიობები, მათ გარშემო შეჯგუფებული მაყურებლები, რომლებიც დიდი ინტერესით ადევნებენ თვალს ახალი ქართული მხატვრული ფილმის შექმნას.

ამ უკანასკნელ ხანებშიც რუსთაველის პროსპექტზე, ზოოვეტინსტიტუტთან, ფუნიკულორის პლატოზე თუ მეტეხთან კინოაპარატთან ფუსფუსებდნენ რეჟისორი შ. მანაგაძე, ოპერატორი ფ. ვისოცკი, მსახიობები და გადამღები ჯგუფის სხვა წევრები. თბილისისა თუ ბაკურიანის თვალწარმტაცი ხედების ფონზე იქმნებოდა კადრები მომავალი ფილმისა „ყვავილი თოვლზე“. ეს სურათი მიეძღვნა ახალგაზრდების ცხოვრებას, მათს წარმატებებსა თუ შეცდომებს. ფილმის მთავარი გმირები არიან უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებული ახალგაზრდები.

ფილმის გადაღება უკვე დამთავრდა. ახლა მუშაობა გადატანილია ლაბორატორიებსა და სამონტაჟო მაგიდებზე. წარმოებს ცალკეული ნაწილების გახმოვანება, გადაღებული კადრების შერჩევა და მონტაჟი.

ფილმისთვის სცენარი დაწერეს შ. მანაგაძემ, გ. გელოვანმა და გ. კოლტუნოვმა. ეს არის მუსიკალური კომედია, რომელშიც უხვად გამოყენებულია ლირიკული სიმღერები, არიები. მათი ავტორია კომპოზიტორი რ. ლაღიძე. ხმას ოპერატორია ო. გეგეჭკორი. მხატვრობა ეკუთვნით ზ. მეძმარიაშვილსა და ტ. კრიმკოვსკაიას. ცნობილ მსახიობებთან ერთად მასში მონაწილეობას იღებენ ახალგაზრდა მსახიობები — ჯ. ვაშაყმაძე, ლ. ანთაძე, ნ. კობახიძე. ფილმი „ყვავილი თოვლზე“ მალე გამოვა თბილისის ეკრანებზე.

მ. კობახიძე.

სურათზე: კადრები ფილმიდან.

ახალი წიგნები

ჯერალდ გორდონი — ის დღე დაიქცეს... საბლიტგამი. ინგლისურიდან თარგმნეს: 1-ლი ნაწილი მ. ამაშუკელმა და ე. ჩილაჩავამ, მე-2 ნაწილი მ. ამაშუკელმა. რედაქტორი მ. ქარჩავა. გვ. 321. ტირაჟი 15.000. ფასი 6 მან. 30 კაპ.

„ქართველი მწერლები პოლონეთს“. კრებულში მოთავსებულია პაოლო იავლოს, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, თეიმურაზ ჯანგულაშვილის, თენგიზ გოგოლაძის ნაწარმოებები. სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. რედაქტორი ე. მაღრაძე. ფასი 2 მან.

ალეკო შენგელია — „მეგობრული ხმები“ (თარგმანები). წიგნში მოთავსებულია ალექსანდრე მეჟეიროვის, აგეტა ისააკიანის, მიკოლა უპენიკის, მიხეილ დუდინის, ქიაზიმ აგუმაას, კონსტანტინე სიმონოვის ლექსები და პოემები. გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“. რედაქტორი ვ. გორგაძე. ფასი 1 მან. 20 კაპ.

ქართული ფილმების ფესტივალი ერევანში

21-დან 27 სექტემბრამდე სომხეთის დედაქალაქ ერევანში ტარდება ქართული ფილმების ფესტივალი. ფესტივალზე აჩვენებენ მხატვრულ სურათებს: „მაია წყნეთელი“, „ზვიგენის კბილი“, „მამლუქი“, დოკუმენტურ ფილმებს „თბილისი“, „ყვავილების დღესასწაული“, „ნეკალი“ და მულტიპლიკაციურ სურათს „მტრობა“.

ფესტივალში საქართველოდან მონაწილეობას იღებენ კინორეჟისორი რ. ჩხეიძე, კომპოზიტორი ა. კერესელიძე, კინო-მსახიობი დ. წეროძე და სხვები.

არგენტინელები მღერიან თბილისში

რამდენიმე დღეა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სახაფხულო თეატრის შენობაში გაისმის არგენტინული ჰანგები.

ცნობილი არგენტინული ორკესტრი „ტანგო“ ოსვალდო პუგლიესეს ხელმძღვანელობით თბილისში 27 სექტემბრამდე დარჩება. ორკესტრის პროგრამაშია არგენტინული სიმღერები და ცეკვები.

22 სექტემბერს კონცერტის დამთავრების შემდეგ ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი შეხვდა ორკესტრის ხელმძღვანელსა და წევრებს და ესაუბრა მათ.

ქვემოთ ვაქვეყნებთ მათს ნაუბარს.

ოსვალდო პუგლიესე: ადრე საქართველოში არასოდეს არ ვყოფილვარ, მაგრამ ჩემი მეგობრის არგენტინელი მწერლის ალფრედო ვარელას ნაამბობიდან ვიცოდი, რომ საქართველო დიდი კულტურული წარსულის მქონე ქვეყანაა, ქართველების იუმორი და სტუმართმოყვარეობა კი მეტად მომხიბვლელი. ნამდვილად მისასალმებელია საბჭოთა პრემიერ-მინისტრის ხრუშჩოვის გამგზავრება ამერიკის შეერთებულ შტატებში. „ცივ ომს“ თანდათან ბოლო ეღება და ხალხები იმედის თვალით შესცქერიან მომავალს. ის ფაქტიც, რომ საბჭოთა რაკეტა ამჟამად მთვარეზეა, ძალიან ბევრს ეუბნება მშვიდობისმოყვარე ხალხების გულს...

ხორხე მასიალი: დიდად კმაყოფილი ვარ იმ გულთბილი მიღებით, რასაც საბჭოთა კავშირში შევხვდით.

ოსვალდო რუკერი: თბილისი ლამაზი ასულივით კოპწია და მომხიბვლელი ქალაქია...

მონიკა რეინგალი: ჩემთვის როგორც არა მარტო ორკესტრის მსახიობისათვის, არამედ კინომსახიობისათვი საც დიდად საინტერესოა გაეცნო ქართულ საბჭოთა კინემატოგრაფიას მცირედად მაინც. მე რამდენიმე არგენტინულ კინოსურათში ვიღებ მონაწილეობას: „პაემანი ცხოვრებასთან“, „სიყვარულზე სიმღერებში ლაპარაკობ...“ ძალიან კარგი იქნება, თუ უფრო ხშირად ვნახავთ ერთმანეთის ფილმებს.

• • •

სურათზე: არგენტინული ორკესტრის „ტანგოს“ სოლისტები ხორხე მასიალი (მარცხნივ) და კარლოს გვიდო.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

რედაქტორი
დ. მჟელლიშვილი.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

25 სექტემბრიდან

სეზონის გახსნა გასტროლები

მონაწილეობენ: **უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მსახიობები, საბჭოთა ცირკის საუკეთესო ოსტატები**

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

კვირაობით დღის ორი სანახავი წარმოდგენა

დასაწყისი I-12 ს., II-3 საათზე

ბილეთები იყიდება. მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.

თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმი

აცხადებს მოსწავლეთა დამატებით მიღებას

1959-60 სასწავლო წლისათვის I კურსზე.

ტექნიკუმში მიიღებიან მოქალაქენი, რომელთაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო სკოლა.

ტექნიკუმი ამზადებს ტექნიკოს ტოპოგრაფებს ტოპოგრაფიულ, აეროფოტოტოპოგრაფიულ და გეოდეზიურ სამუშაოთა საწარმოებლად.

მიღების წესები საერთოა ყველა ტექნიკუმისათვის. მოსწავლენი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით საერთო წესით და საერთო საცხოვრებლით შესაძლებლობის მიხედვით.

განცხადებები მიიღება ყოველდღე. გამოცდები მოეწყობა 5 ოქტომბრიდან 10 ოქტომბრამდე.

სწავლა დაიწყება 1 ნოემბერს.

ტექნიკუმის მისამართი: თბილისი, ილ. ჭავჭავაძის პრსპ. № 25, ტელ. № 2-30-33.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს

ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი

აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

1. **ბიოქიმიური ლაბორატორიის ხელმძღვანელი** — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1,0 ერთეული), 2. **ენდოკრინოლოგიური ლაბორატორიის ხელმძღვანელი** — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი (1,0 ერთეული), 3. **ექსპერიმენტული ქირურგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი** — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი (1,0 ერთეული), 4. **კლინიკური განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი** (0,5 ერთეული) — მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

კონკურსში მონაწილეებმა დირექტორის სახელზე უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები ორ ცალად: 1. განცხადება, 2. კადრების აღრიცხვის ფურცელი, 3. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის პირი, 4. სამეცნიერო ხარისხის მინიჭების დიპლომის პირი, 5. ავტობიოგრაფია, 6. სამსახურებრივი დახასიათება, 7. სამეცნიერო შრომების სია, 8. ფოტოსურათი.

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 43.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს

„ელექტროსაბელბეტონი“ ქიმიური პროდუქციის მომარაგების-გასაღების სამმართველო („ხიმსნაბსბიტი“) აცნობებს ყველა მომხმარებელს, რომ 1959 წლის 1-დან 30 ოქტომბრ